პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს კ პ
ცენტრალური და ტფილისის
კომიტეტის
ტფ. სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მაზრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 14—76.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 269 ხუთშაბათი, 22 ნოემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 700,000 მ. ნ. № 269

დღიური

ხელახალი არჩევნების გამო ინგლისის მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა ამომრჩევლებისადმი მანიფესტი.

ამხ. ჩიჩერინმა განაცხადა, რომ კონრადის გამართლების შემდეგ საბჭოთა კავშირს არავითარი დამოკიდებულება არ ექნება შვეიცარიასთანა.

ამხ. ვოროვსკის მკვლელი კონრადი სრულიად გაანთავისუფლეს სატუსაღოდან.

გაიხსნა გერმანიის რეიხსტაგი, რომლის წინაშე სიტყვით წარსდგა შტრეზემანი.

ამერიკა სესხს აძლევს გერმანიას.

გაზ. „კომუნისტი“-ს კანტორისაგან

რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული.

კანტორა აცნობებს ყველა ხელის მომწერლებს, რომ პირველ ნოემბრიდან გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია ჩერვონცების ანგარიშით შემდეგი ფასები:

თვიური ხელის მოწერა ტფილისში შინ მიტანით 1 მ. 50 კ.
ქალაქს გარეთ მცხოვრებთათვის — — 1 მ. 60 კ.
კოლექტ. ხელის მოწერა მხოლოთ მუშებისათვის 1 მ. 20 კ.

ჟურნალ „ნიანგი“-ს ფასები:
თვიურათ ყველასათვის — — 30 კ.
ცალკე ეგზემპლიარი — — — 15 კ.

აგრონომთა ყრილობის გამო

აგრარული რეფორმის ჩატარების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მთავარ მორიგ ამოცანას სოფლად შეადგენს სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია, მიწის დამუშავების ახალი ფორმების და ახალი კულტურათა შემოღებით. უამისოდ შეუძლებელია სოფლის კულტურულ-ეკონომიური აღორძინება და სახელმწიფოს ეკონომიური წინსვლა.

მიწა უკვე მიწის მუშის ხელშია, მაგრამ თუ მან ამ მიწით სარგებლობის საუკეთესო საშვალებებიც არ მიიღო და არ შეისწავლა, მის გაჭირვებულ მდგომარეობას ისე არ ეშველება. მოხდა რევოლიუცია მიწადმფლობელობაში და უნდა მოხდეს რევოლიუცია მიწით სარგებლობაში, მის დამუშავებაში ახალი კულტურულ-ტეხნიკური ფორმების შემოღებით და მით სასოფლო-მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გაზრდით. არხაიული ფორმები, მამაპაპათა ადათ-წესები დატოვებულ უნდა იქნან სასოფლო მეურნეობაში.

რასაკვირველია, ერთი დაკვრით, დაუყოვნებლივ ამის ცხოვრებაში გატარება შეუძლებელია, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ სახელმწიფოს დღევანდელ ეკონომიურ-ფინანსიურ მდგომარეობას. ახალი სამეურნეო კულტურათა შემოღებისთვის, სათანადო სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეძენისთვის, საჭიროა საკმაო დიდი თანხები, რომელთა გაღებას სავსებით ვერ შესძლებს დღევანდელ პირობებში სახელმწიფო. მაგრამ სახელმწიფოსთან ერთად აქ უნდა ამოქმედდეს საზოგადოებრივი ინიციატივა, და საერთო ძალღონით შეიქმნეს პირობები სასოფლო მეურნეობის წინსვლისათვის.

კოოპერაციამ, სოფლის შეფებმა და სხვა ორგანიზაციებმა და ყველამ ვისაც კი გული შესტკივა ქვეყნის მომავალისთვის, ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი სასოფლო მეურნეობის განვითარებას.

მართალია აქ წინ მრავალ დაბრკოლებებს შევხვდებით, მაგრამ სისტემატიური და ენერგიული მუშაობით უნდა შევძლოთ მათი გადალახვა. ერთი მთავარი დაბრკოლებათაგანია სასოფლო-მეურნეობის ფასების სიმცირე მრეწველობის ნაწარმოებთა ფასებთან შედარებით. ცხადია, თუ გლეხის შრომა დაფასებულ არ იქნა და ფასების ასეთ შეუფერებლობას ხანგრძლივათ ექნა ადგილი, შეუძლებელია სასოფლო მეურნეობის აღორძინება - განვითარება და მისი სასურველი ტემპით წარმართვა. სახელმწიფო იღებს ზომებს ამის საწინააღმდეგოთ და ეჭვი არ არის, რომ ეს დაბრკოლებაც ძლეულ იქნება.

არის სხვა მრავალი დაბრკოლებებიც, რომლებიც საქართველოს აგრონომთა ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებებში აღნიშნულ იქნენ. აქ პირველად ყოვლისა მხედველობაში მიღებულია მომზადებულ აგრონომთა შტატის სიმცირე. ეს შტატი სულ 106 კაცს უდრის მთელს რესპუბლიკაში და ამ შტატიდან უმრავლესობა არა სპეციალისტებისაგან შესდგება. რასაკვირველია ასეთი შტატი ვერ შესძლებს იმ ფართო ამოცანების მიღწევას, რომლებიც დასახული აქვს საბჭოთა ხელისუფლებას სასოფლო მეურნეობაში.

აგრონომთა მუშაობას დიდათ ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ მათ ხელში არ მოიპოება სამეურნეო მუშაობისათვის საჭირო თანხები. მათი ხელფასიც მეტად მცირეა და მასაც დიდი დაგვიანებით ღებულობენ, როგორც საზოგადოთ პროვინციის მუშაკთა უმრავლესობა. აგრონომიას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მომავალისთვის და მისი განვითარებისთვის საჭირო ფინანსების გამონახვისთვის ყოველგვარი ზომები უნდა იყოს მიღებული. ამას წინად დახურულ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მიღწევათა და გამოცდილებათა ცხოვრებაში გატარება უამისოთ შეუძლებელია. მცოდნე და საქმის მოყვარულ აგრონომთა მუშაობისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნით, მათთვის ყოველგვარი დახმარების გაწევით მოხერხდება ჩვენი სასოფლო მეურნეობის აღორძინება.

არის მაგალითები, როდესაც გლეხობა სცდილობს ტრაქტორის თუ სხვა სამეურნეო იარაღის შეძენას, მაგრამ სიღარიბის გამო ვერ ახერხებს ამას. უნდა უჩვენოთ მას გაერთიანების გზა ამხანაგობების შედგენით ამა თუ იმ იარაღის და სხვა სამეურნეო გაუმჯობესების შემოღების საშუალება; უნდა მივსცეთ გრძელვადიანი სესხი საჭირო იარაღების შეძენისთვის და სხვა.

წინა წლების სიმშილობის გამო გლეხობა მხოლოდ პურეულობის თესვაზე გადავიდა, თუმცა ჩვენი ქვეყნის პირობები ხელს უწყობენ უფრო ძვირფას კულტურათა გავრცელებას. ამ კულტურათა აღდგენას განვითარება მორიგ ამოცანათ არის დასახული და ყოველი გზით ხელი უნდა შევუწყოთ ამ ამოცანის გადაჭრას.

ჩვენში აგრონომია ახალი საქმეა, ხალხის ფართო მასებთან ის მხოლოდ ჩვენ დროს იწყებს მისვლას. წინედ აგრონომია მხოლოდ მიწადმფლობელთა მოსამსახურე იყო, მათი სიმდიდრის და ფუფუნების წყაროს წარმოადგენდა, დღეს ის მშრომელ გლეხობის მოსამსახურე ხდება, მას უკავშირდება. ამ დაკავშირებას მთელი ჩვენი ენერგიით უნდა შევუწყოთ ხელი.

არჩევნები ინგლისში

მოახლოვებულ არჩევნების გამო, ინგლისის პარლამენტი დათხოვნილ იქნა 16 ნოემბერს. ახალი საპარლამენტო კანდიდატების სიის წარდგენის უკანასკნელი ვადა დანიშნულია 26 ნოემბრისათვის. 6 დეკემბერს მოხდება თვით არჩევნები, ხოლო ახალი შემადგენლობის პარლამენტი შეიკრიბება 19 დეკემბერს.

ინგლისში უკვე დაიწყო გაცხარებული საარჩევნო კამპანია.

ამ საარჩევნო ბრძოლაში უმთავრესი მონაწილეებია: კონსერვატორები, ლიბერალები და მუშათა პარტია.

დათხოვნილ პარლამენტში მათი ძალთა განწყობილება შემდეგი იყო: კონსერვატორები — 343, ორივე ფრთის ლიბერალები—114, მუშათა პარტია კომუნისტებთან ერთად—144 დანარჩენ 11 დეპუტატიდან 8 ეკუთნოდა ე. წ. დამოუკიდებლებს და 3 ირლანდიელებს.

წინანდელ პარლამენტის ამომრჩეველთა საერთო რიცხვი უდრიდა 21.000.000 კაცს, მათგან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 14 000 000 კაცმა, ე. ი. ხმის უფლების მქონეთა ორ მესამედმა. ამ რიცხვიდან კონსერვატორებმა მიიღეს 5 000.000 ხმა, ლიბერალებმა 4.200.000, მუშათა პარტიამ 4 300.000

ასეთი იყო პარლამენტში გამოხატული ინგლისის სოციალურ ძალთა ურთიერთი დამოკიდებულება.

რანაირად შეიცვლება ასეთი მდგომარეობა ამ ერთი წლის განმავლობაში, ვის არგუნებს გამარჯვებას მომავალი არჩევნები?

კონსერვატორები აცხადებენ, რომ მომავალ არჩევნებში ისინი წამოაყენებენ კანდიდატების მეტ რიცხვს, ვინემ წარსულ არჩევნებში.

ისინი უკვე ამუშავებენ „საზოგადოებრივ აზრს“, რათა მოიპოვონ გამარჯვება.

კონსერვატორების ლიდერმა, პრემიერმა ბალდუინმა გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელიც მიმართულია, ერთი მხრივ, საფეიქრო მრეწველობის დაკმაყოფილებისაკენ, მეორე მხრივ შეიცავს დაპირებას უმუშევრობის წინააღმდეგ ზომების მიღებისას.

ამჟამად ინგლისში მწვავედ დგას საკითხი მაღალი ტარიფების დაწესებისა კერძოდ საფეიქრო მრეწველობაში. ბალდუინი აცხადებს თავის მანიფესტში, რომ მას განზრახვა არა აქვს დაბეგროს საფეიქრო ნედლეული, შემოზიდული უცხოეთიდან.

რაც შეეხება უმუშევრობას, ბალდუინი ფიქრობს გააბედნიეროს ქვეყანა, სხვათა შორის 17 ახალი კრეისერის აშენებით, უმუშევრების შემცირების მიზნით გემთამშენებლობის მრეწველობაში.

უმუშევრობასთან ბრძოლის ნიღაბ ქვეშ კონსერვატორები ფიქრობენ გაატარონ თავიანთი სამტრო-იმპერიალისტური პროგრამა.

ბრძოლისათვის ემზადებიან ლიბერალებიც. მათი მარჯვენა და მარცხენა ჯგუფები არჩევნებში გამოვლენ გაერთიანებული სიით.

ისინი გამოდიან საშუალო ბურჟუაზიის დაცვის პროგრამით.

ჩვენთვის უფრო საინტერესოა მუშათა პარტიის პოზიცია არჩევნების მიმართ.

ამ პარტიამ გამოუშვა საარჩევნო მანიფესტი, რომელიც იბეჭდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ №-ში.

საშინაო პოლიტიკაში მისი პროგრამა არ სცილდება დემოკრატიულ ფრაზეოლოგიას; იმ ხალხისაგან, რომელიც ფიქრობს სოციალიზმის შემოღებას ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმის გზით (გავიხსენოთ ფილიპ სნოუდენის შეკითხვა პარლამენტში სოციალიზმის შემოღების შესახებ), მეტი არ არის მოსალოდნელი.

საგარეო პოლიტიკის სფეროში მუშათა პარტიის საარჩევნო დეკლარაციიდან კურიოზულია ხალხთა ლიგის ავტორიტეტის განმტკიცების მოთხოვნა. ყველამ გაიგო, რომ ხალხთა ლიგა—ეს მკვდარი დაწესებულებაა, რომელიც გამოგონილია გაბატონებულ იმპერიალისტურ შაიკების მძარცველ პოლიტიკის დასაფარავად და გასამართლებლად. ხალხთა ლიგას ანგარიშს არ უწევენ მისი დამაარსებელნი და წევრებიც (მოვიგონოთ სხვათაშორის, იტალია-საბერძნეთის ინციდენტი), როცა მისი ჩარევა საქმეში მათთვის არ არის სასარგებლო.

რაც ადრე დაიშლება საბოლოოდ ეს ორგანიზაცია, მით უკეთესია მუშათა კლასისათვის. მხოლოდ ეს არ ესმით მაკდონალდებს, რომელნიც მისი საშუალებით ფიქრობენ საერთაშორისო საკითხების გადაჭრას.

მუშათა პარტია არ ივიწყებს გერმანიის საკითხსაც და მოითხოვს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას გერმანიის მონაწილეობით. ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ურიცხვი კონფერენციებიდან, რომელნიც მხოლოდ სალაყბოს წარმოადგენენ, ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერებს არავითარი გაკვეთილი არ გამოუტანიათ.

მანიფესტში არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი გერმანიის მუშათა კლასის, მისი მოახლოვებული რევოლიუციის დასაცავად. ეს საუკეთესოდ აშკარავებს მუშათა პარტიის ბელადების ვინაობას, მათ ოპორტუნიზმს, მათ შიშს რევოლიუციის წინაშე.

„მანიფესტი“ ზერელედ ეხება საბჭოთა რუსეთს და მოითხოვს მასთან დიპლომატიურ და ეკონომიურ დამოკიდებულების აღდგენას. ეს არაფერს მატებს მათ სოციალისტობას. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის საჭიროება ინგლისის ინტერესებისათვის შეგნებული აქვს ლოიდ-ჯორჯსაც.

ინგლისის მუშათა პარტიას აუარებელი მასალა აქვს დღევანდელი კონსერვატიული კაბინეტის წინააღმდეგ, უკანასკნელის როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკის სფეროში. ამ პოლიტიკის წყალობით, ინგლისი განიცდის ღრმა სამრეწველო კრიზისს. კოლოსალურ უმუშევრობას. საგრძნობლად დაეცა მისი საერთაშორისო წონაც. რურის ოკუპაციამ ეს საკმაოდ გამოაშკარავა.

შესძლებს კი მუშათა პარტია ყველა ამ მასალის გამოყენებას და თავის გარშემო მშრომელ და საშუალო მასის შემოკრებას?—მხოლოდ ამაზეა დამოკიდებული მისი თუ სრული არა, შედარებითი გამარჯვების შანსები.

ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუ რამდენად სერიოზულია მუშათა პარტიის განზრახვა მუშათა მთავრობის შედგენის შესახებ, რომლის შესახებ ის ლაპარაკობს თავის მანიფესტში.

რაც შეეხება ინგლისის კომუნისტურ პარტიას, მისი გავლენა ჯერ კიდევ სუსტია.

მას მოვალეობას შეადგენს ფართო აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება, რათა ამომრჩეველ მშრომელ მასის წინაშე გამოაშკარავოს სრული სურათი ინგლისის დღევანდელი მესვეურების მძარცველ საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის.

კოოპერატიული სტატისტიკა და ანგარიშის წარმოება ადგილობრივ კოოპერატივებში

ჩვენი ქვეყანა წვრილი მეურნეობის მხარეა. სხვაზე რომ არ ვილაპარაკოთ მარტო ეს გარემოება საკმაო პერსპექტივებს შლის ჩვენი კოოპერაციის წინაშე. თვით პირობები და თვისებები ჩვენი სახალხო მეურნეობის ყოველგვარი დარგისა მეტად ხელსაყრელ ნიადაგს იძლევა კოოპერაციის განვითარებისათვის, ხოლო ამ უკანასკნელის მისაღწევად უპირველეს ყოვლისა საჭიროა კოოპერაციის შესწავლა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. წარმატებითი და ნაყოფიერი მუშაობის წარმოება, რასაკვირველია, შეუძლებელია, უკეთუ ჩვენ არ გვაქვს შესწავლილი ის გარემოებანი და პირობები, რომელნიც კოოპერაციის საქმეს ემსახურებიან, ან მისი წინსვლას ხელს უშლიან.

კოოპერაციის შესწავლის მთავარი საშუალება, როგორც სხვა მრავალ სოციალ-ეკონომიური მოვლენებისა, არის სტატისტიკა. მხოლოდ სწორად დაყენებულ კოოპერატიულ სტატისტიკას შეუძლია მოგვცეს ნათელი სურათი კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ. საუკეთესო შედეგების მიღწევას კოოპერაცია შესძლებს იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქმედება შეფარდებულ იქნება ობიექტიურ პირობებსა და გარემოებასთან, რისთვისაც საჭიროა სათანადო სტატისტიკური კვლევა-ძიება. ვინც რაიმე პრაქტიკულ ხელმძღვანელობას უწევს კოოპერაციის რომელიმე ცალკე დარგს, სტატისტიკური ცნობები მისთვის საზომი და ბარომეტრია მიზანშეწონილი მოქმედებისათვის. ამ პრაქტიკულ მნიშვნელობის გარდა აღსანიშნავია კოოპერატიული სტატისტიკის როლი კოოპერაციის მეცნიერულად შესწავლისათვის, მით უმეტეს, რომ კოოპერაციას თანამედროვე ხანაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეცნიერების დარგში. იგი სოციალ-ეკონომიურ მეცნიერებათა თვალსაზრისით წარმოადგენს ღრმა ინტერესს.

ამ რიგად კოოპერატიული სტატისტიკის მიზანი და დანიშნულება მრავალგვარია: კონკრეტულად შესწავლილ უნდა იქნეს კოოპ. ორგანიზაციების მეურნეობა და მომქმედების და აგრეთვე კოოპერაციაში შეკავშირებულ მოსახლეობის მეურნეობა. ამისთვის კი საჭიროა კოოპერატივებში სწორად იქნეს დაყენებული ანგარიშის წარმოება. ამის გარეშე სწორი სტატისტიკური კვლევა-ძიების წარმოება შეუძლებელია.

სამწუხაროთ ანგარიში—წარმოების მხრით ჩვენი ადგილობრივი კოოპერატივები ძლიერ მოიკოჭლებენ სათანადო ძალების უქონლობის გამო. გარდა ინსტრუქტორების ჩვენებისა, ამას სავსებით ამტკიცებს ადგილებიდან ანგარიშების და სხვა სტატისტიკური ცნობების წარმოდგენის საქმე. ჩვენ თვალწინ გვაქვს ძირითადი კოოპერატივების 1922 წ. წლიური ანგარიშები. სულ აღნიშნულ საანგარიშო წლის განმავლობაში წარმოდგენილია 36 კოოპერატივი 644 კოოპერატივიდან, ე. ი. 5,5 პროც. რასაკვირველია, ცნობების ეს რაოდენობა ვერ მოგვცემს უტყუარ სურათს კოოპერატივების მდგომარეობისას, რაშიაც სავსებით დაგვარწმუნა 1922 წლის ანგარიშების ანალიზმა. წარმოდგენილ ანგარიშების ხარისხიც ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად.

მიზეზები წარმოდგენილ ცნობების სიმცირისა და ხარისხის ნაკლულოვანებისა არის როგორც ობიექტიური, ისე სუბიექტიური ხასიათის. წლის ბოლოს ანგარიშების შედგენა სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ სწარმოებდა საანგარიშო დავთრები მთელი წლის განმავლობაში. ბუხჰალტერული წარმოება კი ადგილობრივ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული, ვინაიდან საამისო მომზადებული პირები მათ არა ჰყავთ. ყოველი კარგი ბუხჰალტერი თუ მოანგარიშე ცენტრში არის მოკლათებული, რასაც განსაკუთრებით ხელს უწყობს სატარიფო განაკვეთის საგრძნობი განსხვავება ცენტრსა და პერიფერიებს შორის. ამას აუცილებლად დროზე უნდა მიაქციონ ყურადღება სათანადო ორგანიზაციებმა.

გარდა ამისა ზოგიერთი ადგილობრივი კოოპერატიული ორგანოები მაინც და მაინც საჭიროდ არ თვლიან წარუდგინონ ცენტრს საჭირო ცნობები და მასალები, რაც დიდათ უშლის ხელს საერთო მუშაობას. ამის გამო, ჩვენის აზრით, საჭიროა ადგილობრივი კოოპერატივებისათვის ანგარიშების და სხვა მასალების წარმოდგენა შეიქნეს ერთგვარ აუცილებელ ვალდებულებათ, რაც უსათუოდ უნდა ჩამოყალიბდეს იურიდიულ ფორმაში, რომლის დარღვევისათვის კოოპერატივი დაკარგავს ამა თუ იმ უფლებას. მგონი ასეთი ნაბიჯი უკვე გადადგმულია რუსეთის კოოპერაციაში, რასაც ამ შემთხვევაში ჩვენც უნდა მივბაძოთ.

ჩვენი კოოპერატივების ცენტრალური ორგანო „ცეკავშირი“ ყოველგვარ ზომებს იღებს, რათა სათანადო სიმაღლეზე დაყენებულ იქნეს ანგარიშთწარმოება ადგილობრივ კოოპერატივებში. კოოპერატივების მიმდინარე რეორგანიზაციის გამო ცეკავშირის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებამ დაამზადა საანგარიშო დავთრები და ფურცლები კოოპერაციის ახალი სტრუქტურის მიხედვით. ბუხჰალტერული წიგნები გასაგებად და მარტივად არის შედგენილი, მაგრამ მათი წარმოება მაინც გაუჭირდება იმას, ვინც ბუხჰალტერიას გაცნობილი არ არის, ცენტრი მარტო ვერაფერს გახდება, თუ მას დახმარება არ გაუწია პერიფერიამ. ამის გამო ადგილობრივმა კოოპერატივებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები ანგარიშთწარმოების სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად. მხოლოდ ასეთ გარემოებაში შეიქნება პირობები წარმატებითი კოოპერატიული საქმიანობისათვის.

ნ. ჭ.

სამოქალაქო ომი გერმანიაში

(„ზაკროსტა“-ს ცნობები).

კომპარტია იზრდება: ბრემენის მუნიციპალიტეტის არჩევნებში ყველაზე მეტი ხმა მიიღეს კომუნისტებმა.

საქსონიაში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის 60 წევრი გადავიდა კომპარტიაში.

რას ფიქრობენ გერმანიის მენშევიკები: გერმანიის მენშევიკები აპირებენ ხმა მისცენ შტრეზემანისადმი უნდობლობის გამოცხადების ვოტუმს.

სოციალ-დემოკრატები საფრანგეთის და ბელგიის მეგობრებისაგან მოითხოვენ მატერიალურ დახმარებას.

უმუშევართა მოძრაობა: დაპყრობილ ოლქებში უმუშევართა მოძრაობა ფართე ხასიათს იღებს: მუშებმა შესძლეს პოლიციის განდევნა სამი რაიონიდან.

გერმანია-ამერიკის მოლაპარაკება: ამერიკა თანახმაა სესხი და დახმარება მისცეს გერმანიას. სესხად აღებულ 125 მილიონ დოლლარით გერმანია ვალდებულია შეისყიდოს სურსათი და ნედლი მასალა.

შტრეზემანის პროგრამა: შტრეზემანის აზრით, საჭიროა დირექტორიის შექმნა, რეიხსტაგის გაშვება, ათი საათის სამუშაო დღის დაკანონება და საგარეო ვაჭრობის კონტროლის მოხსნა.

რეიხსტაგის სხდომის გახსნა

რეიხსტაგის სხდომა.

ბერლინი. 21 ნოემბ. რეიხსტაგის სხდომის გახსნის წინ შტრეზემანმა წინადადება მისცა რეიხსტაგს პატივი ეცა ადგომით რეიხსბანკის გარდაცვალებულ დირექტორ გავენშტეინისათვის.

შემდეგ უკამათოთ იქნა მიღებული ხელშეკრულება შვეიცარიასთან და ორი შეთანხმება პოლონეთთან.

ამის შემდეგ რეიხსტაგი გადავიდა პოლიტიკურ საკითხების გარჩევაზე.

სოციალ-დემოკრატმა ველსმა წამოაყენა მოთხოვნილება მთავრობის პროგრამის დაუყოვნებლივ გამორკვევის შესახებ და განაცხადა, რომ მის პარტიას მიზნათ აქვს დასახული გაერთიანებულ გერმანიის რესპუბლიკის შექმნა. ველსმა გაილაშქრა რეინისა და რურის გამოყოფისაკენ მიმართულ საიდუმლო ცდის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის უნდობლობა მთავრობისადმი გამოწვეულია მით, რომ მთავრობამ სისუსტე გამოიჩინა ბავარიის მიმართ და კარის მიერ კონსტიტუციის დარღვევის საკითხში.

ნაციონალისტების წარმომადგენელმა გერგტმა კატეგორიულად მოითხოვა შტრეზემანის გადადგომა, რომელმაც მთელ რიგ დამარცხებების გამო სრულიათ მოუსპო ნაციონალისტებს მისდამი ნდობა. ორატორი გამოესარჩლა კარს და მოითხოვა ახალი მთავრობის შექმნა ფართო ნაციონალურ პროგრამით.

როდესაც სიტყვა მიეცა კანცლერ შტრეზემანს, კომუნისტებმა ისეთი განგაში ასტეხეს, რომ რეიხსტაგის თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატი ლებე იძულებული იყო რამოდენიმე ხნით შეეწყვიტა სხდომა.

სხდომის განახლების შემდეგ ხმაურობა კომუნისტების სკამებზე არ შეწყდა და სხდომა გადადებულ იქნა ხუთშაბათამდის.

შტრეზემანის პროგრამა

შტრეზემანი ფრონტს იცვლის.

ბერლინი. 20 ნოემბ. სახალხო პარტიის ცეკას პლენუმზე შტრეზემანმა განაცხადა, რომ გერმანიამ შესძლო საფრანგეთის იზოლაცია ამერიკისა და აგრეთვე ინგლისისაგან; ბელგიაც ყოყმანობს. ეს ნიშნავს ანტანტის დაშლას და ახალი ისტორიული ხანის დასაწყისს.

ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია უმუშევრობის ზრდის შეჩერებით. მთავრობა მზად არის გააფართოვოს ბავარიის ავტონომია რეიხსვერის ცენტრალიზაციაქმნილი სარდლობის დაცვის პირობით.

შტრეზემანმა ხაზ-გასმით აღნიშნა, რომ ბავარიაში ხელისუფლებისათვის იბრძვის სამი ძალა: კარი, კნილინგი და „სამშობლოს დაცვის კავშირები“.

შტრეზემანი აფრთხილებს მრეწველებს და ნაციონალისტებს დიქტატურისაგან და ილაშქრებს იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც იცავს საიმპერიო აგრარული კავშირი, სახელდობრ: ქალაქებისათვის სურსათის მიწოდების დაკავშირება ახალი მთავრობის შედგენასთან.

შტრეზემანის აზრით, შესაძლებელია ორი გამოსავალი კრიზისიდან: რეიხსტაგის გაშვება და დირექტორიის შექმნა.

დირექტორია შექმნიდა გარეშე და შინაურ დაბრკოლებებს. ფრანგები, ალბათ, დაიჭერენ კრონპრინცის გაცემას, მაგრამ გერმანიის მთავრობა ამაზე უარს იტყვის.

ეხება რა კაიზერს, შტრეზემანი აცხადებს, რომ უმჯობესია საფრანგეთის ძალადობის ატანა, ვინემ იმ საყვედურის დამსახურება, რომ უკანასკნელი მათვლით თვის შემდეგ იძულებულია იცხოვროს უცხოეთში.

შტრეზემანი აღნიშნავს, რომ 8 საათის სამუშაო დღის გაუქმების გზით შესაძლებელი იქნება წარმოების გაუმჯობესება და აცხადებს, რომ კონტროლი საგარეო ვაჭრობაზე გაუქმებული იქნება.

„ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას კრედიტების მისაღებათ, აცხადებს შტრეზემანი, და ამიტომ ეხლა, როგორც არასოდეს, საჭიროა ჩვენთვის შინაური მშვიდობიანობა“.

საერთო აზრი ისეთია, რომ შტრეზემანმა პლენუმზე გაიმარჯვა. მსუბუქი მრეწველობა არ იზიარებს მძიმე ინდუსტრიის და აგრარიების ჯგუმას დიქტატურის გამოცხადების შესახებ, ვინაიდან შტრეზემანი თვითონვე იცვლის ფრონტს საგარეო პოლიტიკაში, ამცირებს მოხელეების შტატებს და სპობს 8 საათის სამუშაო დღეს.

შტრეზემანის მდგომარეობა საგრძნობლათ განმტკიცდა.

ბერლინი. 20 ნოემბერი. შტრეზემანის მდგომარეობა, სახალხო პარტიის ცეკას პლენუმზე გამარჯვების და აგრეთვე უცხოეთის სესხის შესახებ მოლაპარაკების დაწყების გამო, საგრძნობლად განმტკიცდა.

პრესის აზრი შტრეზემანის პროგრამის შესახებ

ვინ რას ამბობს

ბერლინი 20 ნოემბერი. „ფოსიშე ცეიტუნგ“-ი უკმაყოფილოა ნაციონალისტებთან კოალიციისადმი სახალხო პარტიის ცეკას პლენუმის გაურკვეველი დამოკიდებულებით.

„ბერლინერ ტაგებლატი“, პირიქით შტრეზემანისათვის ნდობის გამოცხადებას სთვლის სახალხო პარტიის მიერ საბოლოოდ უარის თქმით ნაციონალისტებთან კოალიციაზე. თეოდორე ვოლფი მოწინავე წერილში აღნიშნავს, რომ მემარჯვენეების დიქტატურა ხელს შეუშლიდა ინგლისელ ლიბერალებს და აგრეთვე მუშათა პარტიის არჩევნების დროს გერმანიის სასარგებლოდ გამოსვლაში; ეს შეაფერხებდა აგრეთვე ინგლის-ამერიკის სესხის მიღების საქმეს.

სტინესის ორგანო „დოიჩე ალგემაინე ცეიტუნგი“ შტრეზემანის გამარჯვებას აწერს მხოლოდ მის ორატორულ ნიჭს. გაზეთი აღნიშნავს, რომ მთავრობის გადახალისება ერთად ერთი საშუალებაა იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ფაშისტური აჯანყების საფრთხე და მიღწეულ იქნეს შეთანხმება ბავარიასთან.

რას ფიქრობენ გერმანიის მენშევიკები

რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სხდომა.

ბერლინი. 21 ნოემბ. ორშაბათს რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სხდომაზე სოციალ-დემოკრატებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს შტრეზემანის პროგრამა.

მათ გამოეკამათა შტრეზემანი, რომელიც ამტკიცებდა, რომ სოციალ-დემოკრატების მოთხოვნილება საგანგებო სამხედრო წესების გაუქმების შესახებ შეუსრულებელია.

შტრეზემანის ამ განცხადების შემდეგ ფრაქციამ გადასწყვიტა უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას შემდეგსავე სხდომაზე.

ეყოლებათ გაბედულობა მენშევიკებს?

პარიზი. 21 ნოემბ. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ კომუნისტებსა და ნაციონალისტებს გარდა, ალბათ სოციალ დემოკრატებიც შეიტანენ რეიხსტაგის სხდომაზე წინადადებას შტრეზემანის კაბინეტისადმი უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

გერმანელი მენშევიკები დახმარებას სთხოვენ მეფის ლაქიებს.

ბერლინი. 19 ნოემბ. „ფორვერტს“-ი აქვეყნებს მეორე ინტერნაციონალის მოწოდებას, რომელიც მიმართავს ყველა სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს, გაუწიონ მატერიალური დახმარება გერმანიის და საფრანგეთის სოციალ-დემოკრატებს.

ამ მოწოდების გამო კომუნისტური ორგანო „ფოლკსბოტე“ სწერს: „დღემდე გერმანიის სოციალ-დემოკრატია ბრალს სდებდა კომპარტიას საბჭოთა რუსეთისაგან ფინანსიური დახმარების მიღებაში. ეხლა გერმანიის სოციალ-დემოკრატები დახმარებას სთხოვენ მისი უდიდებულესობის ბელგიის მეფის და აგრეთვე პუანკარეს და მუსოლინის სოციალ-ლაქიებს“.

კომპარტია იზრდება

60 მენშევიკი გადავიდა კომუნისტურ პარტიაში.

ბერლინი. 19 ნოემბერი. პირნეში (საქსონიაში) სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის 60 წევრი კომუნისტურ პარტიაში გადავიდა.

მენშევიკებს თანდათან სცილდებიან.

ბერლინი. 19 ნოემბერი. რეგენსბურგში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრებმა შესწყვიტეს პარტიული გადასახადის შეტანა.

მუშები ანთავისუფლებენ თავის ამხანაგებს.

ბერლინი. 19 ნოემბერი. ილმენაუში (ტიურინგიაში) მუშები შეიჭრნენ საპატიმროში და თუმცა პოლიციამ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ მაინც გაანთავისუფლეს 14 პოლიტიკური პატიმარი.

მუშებში იზრდება კომუნისტებისადმი ნდობა.

ბერლინი. 20 ნოემბერი. ბრემენის საქალაქო არჩევნებში ბურჟუაზიულმა პარტიებმა მიიღეს 21,000-ზე მეტი ხმა, აქედან ტევტონურმა პარტიამ მიიღო 2000.

სოციალ-დემოკრატებს ერგოთ 21 ათასი ხმა, კომუნისტებს—27,000.

ამგვარად ბურჟუაზიის ზოგიერთმა პარტიებმა დაჰკარგეს თავისი ხმების ნაწილი ტევტონურ პარტიის სასარგებლოდ და სოციალ-დემოკრატებმა დაჰკარგეს ნაწილი თავისი ხმებისა კომუნისტების სასარგებლოდ.

მთავრობის „მუშაობა“

რეიხსვერის თარეშის მსხვერპლნი საქსონიაში.

ბერლინი. 19 ნოემბ. საქსონიაში რეიხსვერის შესვლის დღიდან, 37 მუშა იმსხვერპლა რეიხსვერთან ბრძოლამ, 100-დე მუშა დაიჭრა.

ერხარდტი ემზადება.

პარიზი. 21 ნოემბ. „მატენ“-ს მიუნხენიდან ატყობინებენ, რომ ერხარდტს განზრახვა აქვს 23 ნოემბერს მოაწყოს ბავარიაში ახალი სამხედრო გადატრიალება.

გერმანიის წარმომადგენლები.

ბერლინი. 21 ნოემბერი. გერმანიის წარმომადგენლებათ საკონტრიბუციო კომისიის სხდომაზე განმარტებების წარდგენისათვის დანიშნულნი არიან ფინანსთა სამინისტროსაგან ფიშერი და დორნი და გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან—სიმონი.

ცეიგნერის განცხადება

ცეიგნერს უსაბუთოდ სწამებენ მექრთამეობას.

ბერლინი. 20 ნოემბ. დრეზდენში ჩამოსულმა ცეიგნერმა განაცხადა, რომ იგი წარსდგება სამსჯავროს წინაშე. ცეიგნერი უარყოფს ქრთამის აღების და აღნიშნავს, რომ ეს არის პოლიტიკური მიზნით სოციალ-დემოკრატებისაგან შეთხზული ცილისწამება.

უმუშევართა მოძრაობა

მოძრაობა ძლიერდება.

ბერლინი. 19 ნოემბერი. უმუშევართა მოძრაობა დიუსელდორფში ძლიერდება. მუშებმა მოახერხეს პოლიციელების განდევნა სამი რაიონიდან. პოლიცია უარს ამბობს მუშების წინააღმდეგ გამოსვლაზე.

ქალაქის თვითმართველობამ მიმართა საფრანგეთის სარდლობას თხოვნით, მიაწოდოს პოლიციას იარაღი. ფრანგებმა წინადადება მისცეს თვითმართველობას მოსთხოვოს გერმანელ მრეწველებს თანხა იარაღის შესაძენად.

დაპყრობილ ოლქებში

ესენში ძლიერდება მღელვარება უსურსათობის ნიადაგზე.

ბერლინი. 21 ნოემბერი დაპყრობილ ოლქებში, განსაკუთრებით ესენში ძლიერდება მღელვარება უსურსათობის ნიადაგზე. ესენში დარბეულია მრავალი მაღაზია. ქალაქის სასურსათო მდგომარეობა უარესდება.

მუშები თავს არ მოიტყუილებენ.

პარიზი. 21 ნოემბერი. რურის ოლქის სამთომადნო მუშების კავშირმა პროტესტი განაცხადა სამუშაო დღის გაგრძელების წინააღმდეგ ბოხუმში სამთო-მადნო მუშების კრებებზე ორატორები აცხადებდნენ, რომ მუშები შემდეგში ნებას არ მისცემენ მრეწველებს და კაპიტალისტებს შეცდომაში შეიყვანონ ისინი. ორატორები აგრეთვე ბრალს სდებენ ფრანგებს რურში შექმნილ მდგომარეობაში.

რა ხდება საქსონიაში

დიქტატორული რეჟიმი საქსონიაში.

[illegible] 19 ნოემბ. პარლამენტური კომუნისტური პრესა მიუთითებს საქსონიაში დაპატიმრებულებისადმი სასტიკ მოპყრობაზე და მოუწოდებს მუშებს პროტესტი განაცხადონ დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ. დაპატიმრებულებს უფლება არ აქვთ დამოკიდებულება იქონიონ დამცველებთან და აგრეთვე ნათესავებთან. კომუნისტი დეპუტატი შნელერი, მიუხედავათ ლანდტაგის დადგენილებისა მისი განთავისუფლების შესახებ, დღემდე არ გაუნთავისუფლებიათ.

გერმანია-ამერიკის მოლაპარაკება

მოლაპარაკება უცხოეთში სესხის აღების შესახებ.

ბერლინი. 19 ნოემბერი. წარმატებით მიმდინარეობს ამსტერდამში წარმოებული მოლაპარაკება ინგლის-ამერიკის ფინანსიურ ჯგუფთან და გერმანელ ბანკირებთან და მრეწველებთან 125 მილ. დოლარის სესხის აღების შესახებ სურსათის ნედლი მასალის და აგრეთვე გერმანიის ვალიუტის უზრუნველსაყოფად.

სესხის გარანტიებს იძლევიან დიდი აგრარიები—გოტფილდი, გოგენლოე და სხვები.

სტინესის პრესა აბათილებს ცნობას, თითქოს უცხოელები აძლევენ სესხს შტრეზემანის მთავრობას, რომ უცხოელებისათვის თითქოს სულ ერთი იყოს ვინც იქნება მთავრობაში, ოღონდ მთავრობა იყოს მტკიცე. ამით სტინესის პრესა ცდილობს შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ უცხოეთის კრედიტების მიღების შანსები ექნებოდა მემარჯვენეთა დირექტორიას.

მოლაპარაკება ნისიად ამერიკული პურის მიწოდების შესახებ.

ბერლინი. 19 ნოემბერი. ბერლინში სწარმოებს მოლაპარაკება ამერიკელ ფერმერების კომისიასთან სილვერის მეთაურობით გერმანიისათვის ნისიად პურის მიწოდების შესახებ. მიღებულ ცნობების თანახმად, ამერიკის პრეზიდენტი კულიჯი ამზადებს გერმანიისათვის სურსათით დახმარებას.

გერმანიის ამბების გამოძახილი

ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილება.

პარიზი. 19 ნოემბერი. ელჩთა კონფერენციამ დაადგინა გაუგზავნოს გერმანიას ნოტა, რომელშიაც აღნიშნული იქნება პროტესტი კრონპრინცის დაბრუნების წინააღმდეგ და მოთხოვნილი იქნება გარანტიები მოკავშირეების სამხედრო საკონტროლო კომისიის მუშაობის განახლებისათვის. დადგენილია, რომ რეპრესიული ზომები [illegible] წინააღმდეგ არ იქნება მიღებული.

საფრანგეთის მთავრობა დაეთანხმა საკითხის ამგვარათ გადაჭრას. ინგლისის ოფიციალური წრეები კმაყოფილებას გამოსთქვამენ კონფერენციის გადაწყვეტილების გამო.

საფრანგეთის კაპიტალის შეტევა გერმანიის კაპიტალის წინააღმდეგ.

ბერლინი. 19 ნოემბერი. დაკავებულ ოლქებში უმუშევრობის გაძლიერების გამო, თვით სოციალ-დემოკრატიული პრესაც მოითხოვს ყველა იმ წარმოებათა კონფისკაციას, რომლებიც სამსახურიდან ითხოვენ მუშებს.

ფრანგები ცდილობენ გამოიყენონ ფართო მასების უკმაყოფილება მათი მიზნებისათვის, რისთვისაც გენ. დეგუტმა, ხუთი წლის ციხის და 100,000 ოქროს მარკით დაჯარიმების მუქარით, აკრძალა მუშების და მოსამსახურეების მასიური დათხოვნა წარმოებებში. მან აკრძალა აგრეთვე მოსამსახურეების ნაწილობრივი დათხოვნაც, თუ ეს ხდება წარმოებელთა კავშირის ცალმხრივი გადაწყვეტილებით.

გერმანიის ბურჟუაზიული პრესა უკმაყოფილოა დეგუტის ამ განკარგულების გამო და მთელს პასუხისმგებლობას რურში მოსალოდნელ ამბებისათვის აკისრებს საფრანგეთის სარდლობას.

კომუნისტური ორგანო „ფოლკსბოტე“ აღნიშნავს, რომ **დეგუტის განკარგულება ნიშნავს საფრანგეთის კაპიტალის შეტევას გერმანიის კაპიტალის წინააღმდეგ**. გაზეთი სწერს: **„ჯერ უნდა დამარცხებულ იქნეს გერმანიის კაპიტალიზმი ბერლინში, ხოლო შემდეგ კი საფრანგეთის კაპიტალიზმი რურში“.**

პუანკარეს დაპირება.

პარიზი. 21 ნოემბერი. თავის უკანასკნელ სიტყვაში პუანკარემ განაცხადა, რომ საფრანგეთი არ დააკისრებს გერმანიას ახალ სანქციებს მოკავშირეებთან შეუთანხმებლად.

მოკავშირეების პრესა მუსოლინის სიტყვის შესახებ.

რომი. 21 ნოემბერი. საფრანგეთის პრესა, უკეთებს რა კომენტარიებს მუსოლინის სიტყვას, აღნიშნავს, რომ **იტალია არ იზიარებს საფრანგეთის პოლიტიკას კონტრიბუციის და მოკავშირეების ვალების საკითხებში.**

ინგლისის პრესა ეხება მუსოლინის სიტყვას და აღნიშნავს, რომ ის სავსებით ეთანხმება ინგლისის პოლიტიკას აღნიშნულ საკითხებში.

ლოზანას კომედიის შემდეგ

საუბარი ამხ. ჩიჩერინთან

შვეიცარია პასუხს აგებს თავისი დანაშაულისათვის

მოსკოვი. 21 ნოემბ. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. ჩიჩერინმა ვოროვსკის მკვლელთა გამართლების გამო სთქვა:

„**შვეიცარიელ ბურჟუაზიის დანაშაული არ იქნება დავიწყებული. შვეიცარიამ გაანთავისუფლა ორი აშკარა დამნაშავე**, რომელნიც სასამართლოში იკვეხნიდენ, რომ მომავალშიაც ჩაიდენენ მკვლელობას. ამით შვეიცარიამ არა მარტო სოლიდარობა გამოუცხადა მკვლელებს, არამედ დაიკისრა პასუხისმგებლობა მათი მომავალი ბოროტ-მოქმედებისათვის და იმ თეთრგვარდიელების დანაშაულისათვისაც, რომელნიც წაქეზდებიან ლოზანაში გამოტანილ სამარცხვინო განაჩენის შთაბეჭდილებით.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა ფართო მასებმა იციან ეხლა, რომ **ვოროვსკის მკვლელი არის შვეიცარიის მთელი ბურჟუაზია**. რესპუბლიკის მშრომელთა ფართო მასები მას არ დაივიწყებენ. **შვეიცარია პასუხს აგებს თავისი დანაშაულისათვის.**

მუშურ-გლეხური რესპუბლიკა ილტვის ყველა ხალხთან მშვიდობიანი ურთიერთობისა და ეკონომიურ თანამშრომლობისაკენ. მაგრამ მსოფლიოს რუკაზე ერთი ქვეყანა დაფარულია ეხლა შავი ლაქით. **შვეიცარიასთან ჩვენ აღარავითარი საქმე არ გვექნება: არ გვექნება არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი ურთიერთობა.** შვეიცარია ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისათვის თითქოს აღარც არსებობს.

შვეციაშიაც იყო მკვლელთა ლიგა, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ, მაგრამ შვეციამ დაუზოგავად მოუღო ბოლო ამ მკვლელთა ლიგას. **შვეიცარიამ კი, პირიქით, სოლიდარობა გამოუცხადა მკვლელთა ლიგას.** მთელი ბურჟუაზიული შვეიცარია არის დღეს მკვლელთა ლიგა.

ჩემი ლოზანაში ყოფნის დროს, მე მომმართავდენ სხვადასხვა საქმიან წინადადებით. ჩვენ შვეიცარიელ მოქალაქეებთან ერთად ვარკვევდით სხვადასხვა საქონლის ყიდვის შესაძლებლობას, საბჭოთა რესპუბლიკაში ახალ წარმოებათა მოსაწყობათ. ერთი შეხედვით, თითქოს ჩვენ შორის მყარდებოდა ეკონომიური თანამშრომლობა. ყველაფერ ამას ბოლო მოეღო. არ იქნება არავითარი შვეიცარული წარმოებები საბჭოთა რესპუბლიკაში. იგი აღარ იყიდის არავითარ შვეიცარულ საქონელს, არ ისარგებლებს შვეიცარიის სამსახურით.

ჩემთან აწარმოებდენ აგრეთვე მოლაპარაკებას რუსეთიდან შვეიცარიაში ტურისტების და ავადმყოფების ჩასვლის გაადვილების შესახებ. შვეიცარიის კურორტები ძალიან დაზარალდენ საყოველთაო ნგრევის დროს; დიდი სასტუმროები თითქმის სავსებით დაცალიერებულია. შვეიცარია დიდ იმედებს ამყარებდა ჩვენ ტურისტებსა და ავადმყოფებზე. ეხლა ყველაფერი გათავდა, ეხლა საბჭოთა მოქალაქე ფეხს არ შესდგამს შვეიცარიის ტერიტორიაზე.

შვეიცარიის „მეშჩანინი“ ძალიან ჩქარა იგრძნობს ამას. მან ძალიან შეურაცხჰყო დიდი საბჭოთა რესპუბლიკა. ეს არ იქნება დავიწყებული. ეს მას არ ეპატიება“.

პროცესის გამოძახილი

საბჭოთა ფედერაციაში

ამხ. ვოროვსკის მკვლელებს გაასამართლებს შვეიცარიის მუშათა კლასი

ხარკოვი. 21 ნოემბერი. ორშაბათს მუშებმა და მოსამსახურეებმა ვოროვსკის მკვლელების გამართლების წინაალდეგ პროტესტის ნიშნად, 3 საათზე **შესწყვიტეს მუშაობა წარმოებებსა და საბჭოთა დაწესებულებებში**. მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია პარტიის ცეკასთან ოვაციებით შეხვდა ცეკას მდივანს კვირინგს, რომელმაც სთქვა: „ვოროვსკის მკვლელებს გაასამართლებს შვეიცარიის მუშათა კლასი, როცა ის გაასამართლებს მთელ თავის ბურჟუაზიას“.

მიტინგზე გამოსული მუშები და მოსამსახურეები მოითხოვდენ უკრაინის საბჭოთა სოც. რესპუბლიკის სახელის და ღირსების დაცვას.

სრულიად უკრაინის ცაკის შენობასთან შეიკრიბა 2 000 კაცი, მიტინგი გაგრძელდა დაღამებამდე.

შვეიცარია

ლოზანას მსაჯულებმა განაჩენი გამოიტანეს ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე

ბერნი. 20 ნოემბერი. სოციალისტური „ბაზელერ არბეიტერ ცეიტუნგი“ კონრადის განაჩენის გამო სწერს:

„**ამგვარად სოციალისტები და კომუნისტები კანონის გარეშე იმყოფებიან—მათი მოკვლა შეიძლება დაუსჯელად.** ლოზანას მსაჯულებმა გამოიტანეს განაჩენი ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე“. ციურიხის კომუნისტური ორგანო „კამპფერი“ სწერს:

„ლოზანას ბურჟუაზიულმა სასამართლომ დასტური მისცა კითხვაზე: შეუძლიათ თუ არა ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, მოჰკლან პროლეტარიატის წარმომადგენლები და ამით წინდაწინ გაამართლა კომუნისტების და რევოლიუციონურ მუშების ყველა მომავალი მკვლელები“.

ბაზელში სოციალისტებმა და კომუნისტებმა გამართეს საპროტესტო კრება განაჩენის წინააღმდეგ.

კონრადი განთავისუფლებულია

ბერლინი 20 ნოემბერი. ლოზანადან მიღებულ ცნობების თანახმად შაბათს კონრადი გამოუშვეს ციხიდან. პოლუნინი დაპატიმრებული იქნება მანამ, სანამ გადასწყდება საკითხი მისი გადასახლების შესახებ.

ჩეხო-სლოვაკიაში

მუშები და გლეხები უნდა გაერთიანდენ ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

პრაღა. 20 ნოემბ. გარეშე საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომი პრესა კონრადის გამართლებას სთვლის საბჭოთა რეჟიმის დამცირებათ. ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ ჩეხო-სლოვაკიის გარეშე საქმეთა სამინისტროს მიმართა საპროტესტო ნოტით ჩეხის პრესის „დასკვნების“ წინააღმდეგ.

„რუდე პრავო“ ამხ. ვოროვსკის და დოსკალოვის მკვლელობის გამართლებაში ხედავს ნიშნებს იმისა, რომ ფაშიზმი ამ ჟამათ გაბატონებულია მთელს დასავლეთ ევროპაში; გაზეთი გაერთიანებისაკენ მოუწოდებს მუშებს და გლეხებს იმ მიზნით, რომ ნაყოფიერათ იქნეს წარმოებული ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ.

ინგლისის ახალი არჩევნების წინ

მუშათა პარტიის საარჩევნო მანიფესტი

ლონდონი 19 ნოემბერი. მუშათა პარტიის საარჩევნო მანიფესტში აღნიშნულია, რომ **მაღალ ტარიფების დაწესებას არ შეუძლია უმუშევართა მდგომარეობის გაუმჯობესება**. უმუშევრობის საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია ერთად ერთი საშუალებით: ფართო საზოგადოებრივ მუშაობის, ელექტრო-ტეხნიკურ, სარკინიგზო აღმშენებლობის ორგანიზაციით. **მანიფესტი მოითხოვს უმუშევართა სრულ შენახვას, მუშათა ახალგაზრდობის სახელმწიფო ხარჯზე სასკოლო აღზრდას**, ხელფასის მინიმუმის დაწესებას სასოფლო მუშებისათვის, ფერმერებისთვის კრედიტების გაღებას. საგარეო პოლიტიკის სფეროში მანიფესტი მოითხოვს ერთა ლიგის ავტორიტეტის განმტკიცებას, საზავო ხელშეკრულებას და, განსაკუთრებით, სარეპარაციო საკითხის გადასინჯვას და ამ მიზნით საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას გერმანიის მონაწილეობით, საბჭოთა რუსეთთან ეკონომიურ და დიპლომატიურ დამოკიდებულების განახლებას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს განიარაღებას, სამხედრო ვალებზე პროცენტების შემცირებას, რომლებიც დღეში ერთი მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენენ. მანიფესტი აღნიშნავს, რომ **მუშათა მთავრობა დაუყოვნებლივ გამოიმუშავებს ერთდროულ პროგრესიულ გადასახადის გეგმას** იმ კაპიტალებისათვის, რომლებიც 5.000 გირვ. სტერლინგს აღემატება. გადასახადის დანიშნულება უნდა იქნეს სამხედრო ვალების ლიკვიდაცია, საშემოსავლო გადასახადის შემცირება და სურსათ-სანოვაგეზე ბაჟის გაუქმება. მანიფესტი აღუთქვამს კონტროლის შემოღებას მაღაროებზე, რკინისგზებზე და ელექტრონის სადგურებზე, კონტროლის დაწესებას, აგრეთვე, შრომის პირობებზე და კომპენსაციის დანიშვნას დასახიჩრებულ მუშებისათვის. მანიფესტი მოითხოვს საბინაო საქმეებში მთავრობის კონტროლის შენარჩუნებას, საბინაო კრიზისის ლიკვიდაციას, კლასთა და სქესთა კულტურულ და პოლიტიკურ თანასწორობას, ინვალიდების შენახვას სახელმწიფოს ხარჯზე და საზოგადოებრივ კონტროლის დაწესებას სპირტიან სასმელების ტრანსპორტზე.

კომპარტიის კანდიდატები

ლონდონი. 19 ნოემბ. გამოცხადებულია **შვიდი კომუნისტის მონაწილეობა საყოველთაო არჩევნებში: ამხ. ამხ. ნიუბოლდის, საკლატვალის, გალახერის, გედსის, სტიუარტის, უილკინსონის და ფილიპ პრაისის; უკანასკნელი თრი აგრეთვე მუშათა პარტიის კანდიდატებიც არიან.**

საფრანგეთის შრომის უნიტარულ კონფედერაციის კონგრესი

სოლიდარობა გერმანიის რევოლიუციასთან.

ბურჟი 19 ნოემბერი. შრომის უნიტარულმა კონფედერაციამ 971 ხმით მიიღო კონგრესის უმრავლესობის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ გერმანიის რევოლიუცია მსოფლიო რევოლიუციის მეორე ეტაპია და მისი დამარცხება გამოიწვევს თეთრგვარდიელთა ძალა-უფლების გამეფებას, მშრომელთა დამონავებას და საფრთხეში ჩააგდებს რუსეთის რევოლიუციას. კონგრესი აცხადებს, რომ შრომის უნიტარული კონფედერაცია თანაუგრძნობს გერმანიის რევოლიუციას და ყოველგვარი საშუალებით ხელს უწყობს მის განვითარებას. ამის პირველი ნაბიჯი იქნება პროლეტარულ ძალთა გაერთიანება და პირველად ყოვლისა, შრომის უნიტარულ კონფედერაციის გაერთიანება შრომის გენერალურ კონფედერაციასთან. უნიტარული კონფედერაცია იტოვებს მოქმედების თავისუფლებას და უფლებას დამოუკიდებელი ხელმძღვანელობა გაუწიოს საყოველთაო გაფიცვას, რომელიც მომზადებული იქნება კონფედერალურ ბიუროს, აღმასრულებელ კომისიის და ფედერაციების წარმომადგენელთა მიერ.

კონფედერაციის ბიუროში არჩეული არიან მონმუსო, ლიუდილიე, რაკამონი და ბერარი.

მდგომარეობა ბალკანეთზე

დახმარება ბულგარეთის ლტოლვილებს.

ვენა. 19 ნოემბერი. **სამხრეთ-სლავიის დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ ბულგარეთის ლტოლვილთა სასარგებლოთ 100.000 დინარი შეაგროვა.** მუშათა პარტიის მოწოდებას დახმარების შესახებ არ გამოეხმაურა მხოლოთ რადიჩის პარტია, რომელიც უკანასკნელ ხანს მხარს უჭერს ცანკოვის მთავრობას.

რუმინეთის გლეხთა პარტიამ აგრეთვე არ გასცა პასუხი რუმინეთის კომპარტიის მოწოდებას ბულგარეთის ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტის ორგანიზაციის შესახებ.

მცირე ანტანტის კონფერენცია.

ვენა. 19 ნოემბერი. ბელგრადიდან მიღებულ ცნობით, მცირე ანტანტის მომავალ კონფერენციაზე, რომელიც გაიმართება ბელგრადში, მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე პოლონეთიც.

რუმინეთის არმიის რეორგანიზაცია.

ვენა. რუმინეთის მთავრობა არჩევს კანონპროექტებს არმიის, გენერალურ შტაბის და სამხედრო სამინისტროს რეორგანიზაციისა და თავდაცვის საბჭოს დაარსების შესახებ.

სოციალ-მოღალატეთა ბანაკში

ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყრილობა

ვენა. 18 ნოემბ. ავსტრიის სოციალ დემოკრატიულ პარტიის ყრილობაზე მოსმენილი იქნა მოხსენება პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ ყრილობაზე აღნიშნული იყო, რომ **ჰამბურგის ინტერნაციონალს არ ძალუძს საფრანგეთის იმპერიალიზმისთვის სათანადო წინააღმდეგობის გაწევა, რადგან სოციალ დემოკრატების ძალები საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში სუსტია**

შინაურ პოლიტიკის საკითხების გარშემო გამართულ კამათის დროს რენერმა ფრთხილად აღნიშნა კოალიციონურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის მიზანშეწონილობა. მან ხაზი გაუსვა საშუალო კლასების ინტერესებთან პარტიის პოლიტიკის შეფარდების საჭიროებას. მსოფლიო ომის ცნობილმა წამქეზებელმა, ლეიტნერმა, მკაცრათ გაილაშქრა კომუნისტების და, კერძოთ, გერმანიის კომპარტიის წინააღმდეგ. ავსტერლიცმა, ლეიტნერის საწინააღმდეგო სიტყვაში აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატებისა და კომუნისტების საბოლოო მიზანი ერთი და იგივეა. ბაუერმა თავის უკანასკნელ სიტყვაში გამოსთქვა აზრი სოციალ-დემოკრატიის მხარეზე საშუალო კლასების მოწვევის სასარგებლოთ. ყრილობამ მოიწონა ჰამბურგის კონგრესის დადგენილებები და დაადასტურა ჰამბურგის ინტერნაციონალთან შეერთება, მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს შრომის ინვალიდთა დაზღვევის სასწრაფოთ შემოღებას და რესპუბლიკანურ წესწყობილების დაცვას კლასობრივ იუსტიციის წინააღმდეგ.

წითელი ქრონიკა

რუსეთი

ტყის ექსპორტი.

მოსკოვი. 21 ნოემბ. წარსულ საბიუჯეტო წლის განმავლობაში ტყის საექსპორტო ორგანოებმა გაიტანეს სხვადასხვა ქვეყნებში 8.954 000 გირვანქა სტერლინგის ხე-ტყის მასალა.

საფინანსო დახმარება კოოპერაციას.

მოსკოვი. 21 ნოემბ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო სამმართველოსთან არსებულმა საფონდო სათათბირომ საჭიროთ სცნო სახელმწიფო ფონდიდან ყველა დარგის კოოპერაციისათვის მიმდინარე წელს 7 850.000 ჩერვონეცის მანეთის გაღება. ეს თანხა პირველათ ყოვლისა უნდა მოხმარდეს საქონლების გაიაფებას და კოოპერაციის გაფართოებას.

საბჭოთა ახალი არჩევნები.

მოსკოვი. 21 ნოემბ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობით 20 ნოემბრამდე არჩეულია სასოფლო საბჭოთა 183 000 წევრი, მათ შორის 15 800 წევრი ე. ი. 8,6 პროც. კომუნისტებია. „ვოლოსტების“ ყრილობებში არჩეულია 96.000, რომელთა შორის 17 000 კაცი ე. ი. 17,6 კომუნისტი. „სავოლოსტო“ აღმასკომებში არჩეულია 11.700 ახალი წევრი; ამათ რიცხვში 5 500 კომუნისტია, რაც შეადგენს 7,6 პროცენტს. სამაზრო ყრილობებში არჩეულია 6.300 და მათ შორის 3.400 ე. ი. 54,8 პროც. კომუნისტი. სამაზრო აღმასკომში არჩეულია 766 კაცი, 637 ე. ი. 83,2 პროც. კომუნისტი. სამაზრო ქალაქების საბჭოებში—2900, ამათ შორის 1.800 ანუ 68.6 პროც. კომუნისტი. საგუბერნიო ქალაქების საბჭოში—3.196, მათ შორის 2.347 ანუ 75,4 პროც. კომუნისტებს შეადგენენ.

შრომის დროშის ორდენი

მოსკოვი. 21 ნოემბ სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმმა შრომის დროშის ორდენით დააჯილდოვა მფრინავი როსინსკი, რომელმაც განსაკუთრებული ენერგია გამოიჩინა წითელ საჰაერო ფლოტის შექმნის საქმეში, და სევასტოპოლის საზღვაო ქარხნის კოლექტივი იმ განსაკუთრებულ ენერგიისათვის, რომელიც გამოიჩინა მან გემების შეკეთების საქმეში.

აეროპლანების საზეიმო გადაცემა.

ხარკოვი. 21 ნოემბ. ხარკოვის მუშებმა უკრაინის საჰაერო მიმოსვლის სამმართველოს დიდის ზეიმით გადასცეს 4 აეროპლანი, რომელნიც აშენებულია უკრაინის მშრომელთა მიერ შეგროვებულ თანხებით.

100 პროცენტი

ცარიცინი. 21 ნოემბ. წითელი ჯარის ტერიტორიალურ ნაწილების შევსება ახლათ მოწვეულ წითელარმიელებით წარმატებით მიმდინარეობს. გლეხობიდან გამოცხადდა 100 პროცენტი.

მოსკოვის საბჭოს პლენუმში

ამხ. კამენევის სიტყვა

ჩვენ და ისინი

მოსკოვი 21 ნოემბ. მოსკოვის საბჭოს გუშინდელ პლენუმზე ამხ. კამენევმა თავის სიტყვაში განაცხადა:

„გერმანიის ამბებმა ყველასათვის, მოსახლეობის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ და მივიწყებულ ნაწილისთვისაც კი, აშკარა და ნათელი გახადა ვერსალის ხელშეკრულებას დიდი სიყალბე—იმ ხელშეკრულების, რომლითაც დამთავრდა იმპერიალისტური ომი და რომელსაც უნდა დაემყარებია ხალხთა თანამშრომლობის მტკიცე საფუძვლები. ეხლა აშკარაა, რომ ვერსალის ხელშეკრულება საზიზღარი კომედიაა მოძალადეების, რომლებიც მშვიდობიანობის სახით ამზადებენ ნიადაგს ახალ ომებისათვის.

ვერსალის ხელშეკრულებამ ექვსი წლის თავზე ყველასათვის ნათელი გახადა, რომ ის არის ძალადობის ორგანიზაცია, რომელიც მიმართულია გერმანიის დიდებულ ხალხის დამონავებისაკენ,—იმ ხალხის, რომელმაც მრავალი საუკუნოების განმავლობაში დაამტკიცა ის, რომ მას შეუძლია დაამხოს მოძალადეების ბატონობა.

თუ გერმანიას გახდიან მონათ, ეს, უეჭველათ, გავლენას მოახდენს მთელს ევროპაზე. ჩვენთვის სავსებით ნათელია, რომ პუანკარესა და საფრანგეთს მიზნათ აქვთ ნიადაგი გამოაცალონ ფეხთ ქვეშ გერმანიის ხალხს. მაგრამ ჩვენთვის ისიც სავსებით აშკარაა, რომ გერმანიის მუშათა კლასი ევროპის ყველა მუშათა კლასების წინ მიდის ისეთი გადამწყვეტი ნაბიჯებით, რომ ვერავინ და ვერაფერი ვერ შესძლებს მის შეჩერებას.

ჩვენთვის ნათელია, რას ფიქრობენ და რას აკეთებენ დღეს გერმანიაში. ტახტის მემკვიდრეთ ითვლება კრონპრინცი. ანტანტა, რომელიც ამასწინად ხმა მაღლა გაიძახოდა, რომ ჰოჰენცოლერნთა დინასტიას ბოლო უნდა მოეღოს, ეხლა აცხადებს, რომ მას არ შეუძლია ხელი შეუშალოს ჰოჰენცოლერნთა ერთ-ერთ წარმომადგენელს დაბრუნდეს გერმანიაში. ჰოჰენცოლერნთა გამოჩენა გერმანიაში ნიშნავს ომის დაწყებას ევროპის შუაგულში, ის ნიშნავს ახალ რღვევას, ახალ ცეცხლს.

მხოლოთ მუშათა კლასს შეუძლია მიმართოს თავისი ძალა ჰოჰენცოლლერნთა და ლიუდენდორფების გამოჩენის წინააღმდეგ, მხოლოდ ის იხსნის გერმანიას განსაცდელისაგან. ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ მუშათა კლასის პროტესტი მისცემს გერმანიას მშვიდობიანობას.

ჩვენ მოლაპარაკების საშუალებით უნდა დავარწმუნოთ ჩვენი მეზობლები, რომ მათ მხარი დაუჭირონ ჩვენს ღონისძიებებს, რომელნიც მიმართულია მშვიდობიანობის შენარჩუნებისაკენ შუა ევროპაში. პირველი მეზობელი, რომელსაც უნდა მივმართოთ ჩვენ ასეთი წინადადებით, არის პოლონეთი. მაგრამ პოლონეთის მთავრობას, როგორც ეს გამოირკვა უკანასკნელ მოლაპარაკების დროს, განზრახვა აქვს დაიტოვოს თავისუფალი მოქმედების უფლება. ჩვენი უფლებაა გამოვიყვანოთ აქედან ერთად ერთი დასკვნა: ჩვენ ძლიერი უნდა ვიყოთ. ხვალ უფრო ძლიერი უნდა ვიყოთ, ვიდრე დღეს, ზეგ კიდევ უფრო ძლიერი, ვიდრე ხვალ. ასეთ დასკვნას გვიკარნახებს ჩვენ საერთაშორისო ძალთა განწყობილება.

ასეთ დასკვნას კიდევ უფრო ხაზს უსვამს უკანასკნელ დღეების ერთი შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც ააშკარავებს ევროპაში გაბატონებულ სისტემის მთელ ბუნებას. ეს ფაქტია—ამხ. ვოროვსკის მკვლელების გამართლება. თქვენ თუ მოიგონებთ მკვლელის განცხადებას იმის შესახებ, რომ ის გამოვა თუ არა ციხიდან, განაგრძობს ისევ წინანდელ ტერორისტულ მოღვაწეობას, მაშინ თქვენთვის აშკარა გახდება „დემოკრატიულ“ რესპუბლიკის „დემოკრატიულ“ სასამართლოს გადაწყვეტილების აზრი.

მხოლოთ უდიდეს ზიზღით შეგვიძლია ჩვენ მოვეპყრათ გახრწნილ მოვაჭრეებს და ჩარჩებს, რომელნიც დემოკრატიის ფორმით, ფაქტიურათ ტერორს აწარმოებენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, იარაღს აძლევენ ხელში დეგენერატს და ამავე დროს წინდაწინ იციან, რომ მათი ბოროტი მოქმედება გამართლებული იქნება სასამართლოს მიერ.

მზათ ვართ ჩვენ თუ არა შესაძლებელ გამოცდებისათვის? ჩვენ უნდა ვიყოთ ძლიერი, მაგრამ ძლიერი ვართ თუ არა ჩვენ ნამდვილათ? ჩვენ განვიცდით კრიზისს, მაგრამ ამ კრიზისსა და წინანდელ მძიმე მომენტებს შორის, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საბჭოთა რუსეთის ცხოვრებაში, დიდი განსხვავებაა. ამავე დროს ის კრიზისი, რომელსაც ჩვენ განვიცდით, ააშკარავებს ჩვენს ეკონომიურ აღორძინებას, ის ამტკიცებს იმ ეკონომიურ გზის სისწორეს, რომელზედაც ჩვენ ვდგევართ.

ეს კრიზისი გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ არ ვიცით ზოგიერთ ჩვენი ზედმეტ სიმდიდრის გამოყენება. ჩვენ ანგარიში ვერ ავართვით ჩვენი წარმოების არაპროპორციულობას. ჩვენ გვაქვს პურის მცირე ზედმეტი რაოდენობა; ჩვენი საქალაქო მრეწველობა სუსტათ იზრდება, მაგრამ ჩვენ ვერ მოვახერხეთ მისი (დამახინჯებულია)... საკმაო თანაბარი რაოდენობით და ამით დავარღვიეთ თანაბრობა სოფლის მეურნეობისა და ქალაქის მრეწველობის პროდუქციის შორის მაგრამ ეს ზედმეტი სიმდიდრე არის ჩვენი ეკონომიური აღორძინების მაჩვენებელი.

ჩვენ ადვილათ არ დავანებებთ თავს ჩვენი მეურნეობის სრულ ეკონომიურ აღორძინების ამოცანას. საჭიროა არა ისეთი მცირე ჩხვლეტა, როგორიც არის, მაგალითად, ამხ. ვოროვსკის მკვლელების გამართლება, არამედ უფრო დიდი საფუძვლებია საჭირო იმისთვის, რომ ჩვენ უარი ვსთქვათ მშვიდობიან შრომაზე და ჩავებათ გადამწყვეტ ამბებში“.

ამიერ კავკასიის ცხოვრებიდან

საქართველო

სამხრეთ-ოსეთი.

საბჭოთა პარტიული სკოლის გახსნა.

ცხინვალი. 20 ნოემბერი. ამ დღეებში ცხინვალში გაიხსნა პირველი საფეხურის საბჭოთა პარტიული სკოლა. მეცადინეობა დაიწყო და სწარმოებს ოსურ ენაზე. სულ არის 60 მსმენელი, აქედან—9 ქალი. მსურველები ბევრი აღმოჩნდა; საჭირო შეიქნა მსმენელთა მიღების განსაზღვრა. გაეგზავნა მისასალმებელი დეპეშები რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს და საქართველოს კომპარტიის ცეკას.

აჭარისტანი.

ჰაეროდრომი.

ბათომი. 20 ნოემბ. ბათომში ჰაეროდრომის მოსაწყობათ განზრახულია სამხედრო-მოსანგრე ნაწილების გამოყენება, ვარაუდით ამისათვის საჭირო იქნება 50 კაცის მუშაობა ერთი თვის განმავლობაში ხარჯთაღრიცხვა უდრის 2,500 საქ. მანეთს.

საქალაქთაშორისო ტელეფონი.

ბათომი. 20 ნოემ. გაიხსნა საქალაქთა შორისო ტელეფონის კავშირი შემდეგ პუნქტებთან: ქუთაისთან, სამტრედიასთან, ფოთთან, ოზურგეთთან, ახალ-სენაკთან, ნიგოითთან, აბაშასთან, ჩოხატაურთან, ნაგომართან, ბახვთან და ხონთან.

აზერბეიჯანი

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 20 ნოემბერი. 12-13 ნოემბრის განმავლობაში ბაქოს ყველა სამრეწველოებზე ამოუღიათ 1.323 000 ფ. ნავთი. საქაჩავში მიუშვიათ 399.000 ფუთი. საქაჩავიდან დაბრუნებულია 392.000 ფ. დაწმენდილია 106 000 ფ. ბურღვაზე მუშაობდა 177 დაზგა. ჩაბურღულია 202 საჟენი.

დაშნაკელთა თვითლიკვიდაცია.

ბაქო. 20 ნოემბერი. დაშნაკელთა პარტიის ყოფილ წევრთა კონფერენცია ბაქოში შემდეგი რეზოლიუციის მიღებით დასრულდა:

„სამარცხვინო დაღს ვასვამთ დაშნაკელთა პარტიის გამყიდველ ნაციონალისტურ ზედაფენებს და ამ პარტიის წევრებად ნამყოფი პროლეტარული მუშაკნი ზიზღით ვიბრუნებთ პირს ამ პარტიისაგან. ჩვენ, სოციალისტურად და რევოლიუციონურად მოაზროვნე, დაშნაკელთა პარტიის წევრები, ბოლოს იმ რწმენამდე მივედით, რომ მხოლოდ რევოლიუციონურად მომქმედი კომუნისტური პარტია და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება ცხოვრებაში გაბედული გამტარებელი პროლეტარიატის დიქტატურისა, რომელიც არის ნამდვილი გამომხატველი მშრომელი მასის ინტერესებისა და მხოლოდ მას მიჰყავს პროლეტარიატი ერთად-ერთი სწორი გზით მსოფლიო კაპიტალზე გამარჯვებლად. იმ დროს, როდესაც ფაშიზმის შავი ღრუბლები ეფინება გერმანიის რევოლიუციონურ პროლეტარიატს, იმ დროს, როდესაც დასავლეთის იმპერიალისტები თავდასხმას აპირებენ მთელს ქვეყნიერებაზე. ერთად-ერთ მუშურ-გლეხურ საკავშირო რესპუბლიკაზე, ჩვენ გულწრფელად და გაბედულად შევდივართ მე-3 ინტერნაციონალისტურ რაზმებში და მზად ვართ, იმის პირველ დაძახილზედვე იარაღით გამოვიდეთ ოქტომბრის რევოლიუციის ყველა მონაპოვართა დასაცველად“.

კონფერენციამ ამავე დროს ამხ. ლენინს შემდეგი მისალმება გაუგზავნა: „ბაქოსა და მისი რაიონების ყოფილ დაშნაკელთა პარტიის უბრალო წევრთა კონფერენცია გიძღვნით თქვენ, რევოლიუციონური პროლეტარიატის გენიალურ ბელადს და ბრძენს მასწავლებელს, თავის მხურვალე სალამს და გულითადს სურვილს თქვენი სწრაფი განჯანსაღებისას“.

ცოცხალი გაზეთი.

ლენქორანი. 20 ნოემბ. ლენქორანის პროფორგანიზაციები, კავშირების წევრთა ფართო თანამშრომლობით სცემენ ყოველდღიურ ცოცხალ გაზეთს და ყოველკვირეულ ჟურნალს.

სააღმშენებლო მუშაობა.

ბაქო. 20 ნოემბ აზერბეიჯანის შინაგან საქმეთა კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა განსაზღვრული თანხა გადაიდოს მაზრებში სააღმშენებლო მუშაობის საწარმოებლად.

ბაქოს ტელეფონის ქსელი

ბაქო. 20 ნოემბ. ბაქოს საბჭოს კომისიამ დაამთავრა ბაქოს ტელეფონის ქსელის გასინჯვა. აღმოჩენილია მთელი რიგი დეფექტებისა, რომლებიც ცუდ გავლენას ახდენენ ქსელის ექსპლოატაციაზე და მოსახლეობის მიერ ტელეფონების ხმარებაზე, კომისიამ არადამაკმაყოფილებლათ იცნო ცენტრალურ ტელეფონის სადგურის შინაგანი მორთულობა, ხოლო მავთულები და მისი მოწყობილობა—შედარებით დამაკმაყოფილებლათ. ბაქოს მთელი ტელეფონის ქსელის შემოსავალი მიმდინარე წლის ცხრა თვის განმავლობაში შეადგენს 423 მილიარდ მანეთს ამ.-კავ. ბონებით, გასავალი—204 მილიარდს.

ბაქოს 1924 წლის ბაზრობა.

ბაქო 20 ნოემბერი. შესდგა ბაქოს საქონლის საფონდო ბირჟის წევრთა კრება, რომელზედაც მონაწილეობა მიიღეს [illegible] და სახელმწიფო ორგანოების და სპარსეთის ვაჭართა წარმომადგენლებმა. კრებამ მოისმინა ბაქოს საბაზრო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ილიუშკინის მოხსენება ბაქოს 1924 წლის ბაზრობის შესახებ. კრებამ ერთხმად იცნო 1924 წელს ბაზრობის გახსნის საჭიროება. ბაზრობის გახსნის ვადათ კრებამ აირჩია ასტრახანზე ნაოსნობის დაწყების დრო ე. ი. 20 მარტისა და 1 აპრილის შუა რიცხვები.

შეკვეთა რუმინეთიდან.

ბაქო. 20 ნოემბ. აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველომ რუმინეთიდან შეკვეთა მიიღო 5000 ტონა დაუმუშავებულ ნავთისა, რომელიც ზეთეულის გამოსახდელად უნდა იყოს გამოსადეგი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა, რომ პარასკევს, 23 ნოემბერს,
ერთიან პარტიულ დღეს
დღის წესრიგი შეიმუშაოს თითონ საუბნო კომიტეტებმა და უჯრედებმა.
ტფილისის კომიტეტის მდივანი [illegible]

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მეოთხე რაიკომი აცნობებს მეოთხე რაიონის ყველა მუშებს და მოსამსახურეებს, რომ **ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში**

ამხ. ფარნიევი გააკეთებს მოხსენებას

საბჭოთა რუსეთში მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ.

პროფკავშირებმა უნდა აცნობონ თავიანთ ადგილკომებს და აგრეთვე უჯრედებმაც უნდა შეატყობინონ თავიანთ წარმოებების და დაწესებულებების მუშებს.

რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი—**ხაცკევიჩი.**

ახალგაზრდა კომუნისტი

ტფ. ალმასკომის ახალგ. კომკავშირის უჯრედში

19 ნოემბერს ნაშუადღევის 3 საათზე შესდგა უჯრედის მორიგი სხდომა. დაესწრო 40 წევრი. სხდომას თავმჯდომარეობდა ამხ. კულიჯანოვი, მდივნობდა ამხ. სალირაშვილი. საქ. ახალგაზრდათა კომკავშირის არსებობის 6 წლის თავის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ძიძიგურმა. მომხსენებელმა გააშუქა კომკავშირის წარმოშობა, განვითარება, მისი გმირული ბრძოლა გასაბჭოებამდის და მის შემდეგ შეეხო აგრეთვე კომკავშირის როლს გერმანიის რევოლიუციაში. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ძიძიგურისა საქ. ახალგ. კომკავშირის არსებობის 6 წლის თავის შესახებ, ვადგენთ: ტფ. ალმასკომის ახალგ. კომკავშირის უჯრედი ღრმა აღფრთოვანებით ეგებება კომკავშირის არსებობის 6 წლის თავს იმ ფრიად საინტერესო მომენტში, როდესაც კომუნისტური კავშირები ორგანიზაციულად და პოლიტიკურად დარაზმულნი გამოდიან არამც თუ საქართველოს არამედ მსოფლიო მასშტაბით, ამავე დროს ანტიკომუნისტური ორგანიზაციები განიცდიან რღვევისა და დაშლის პროცესს.

ვითვალისწინებთ რა განვლილ გმირულ ბრძოლებს და მით მოპოვებულ დღევანდელ გამარჯვებას და უწევთ რა ანგარიშს გერმანიის დღევანდელ მდგომარეობას, ჩვენ მზათ ვართ ბრძოლისთვის, რომელიც ერთხელ და სამუდამოთ დაამსხვრევს მონობის სამარცხვინო ბორკილებს და შექმნის შრომა-ძმობის კომუნისტურ მსოფლიოს. ჩვენი კავშირი ექვსი წლის თავზე ვიგონებთ იმ უმანკო მსხვერპლთ რომელნიც თავის თავგამოდებული ბრძოლით და გმირული სულით გვიკაფავდენ ეკლიან გზას, მათი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩვენი კავშირის ისტორიაში და ფიცს ვსდებთ მედგარი ბრძოლით დავამტკიცოთ ჩვენი ერთგულება და პატივისცემა კომკავშირის წევრთა ხსოვნისადმი. გაუმარჯოს საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს. გაუმარჯოს მის გმირულ ბრძოლას.

მუშკორი **ნინა ხადირაშვილი.**

ს. წავკისის შეფის მუშაობა

სოფ. წავკისის (ტფ. მაზრა) შეფი, განათლების კომისარიატის № 36 კომუჯრედი დიდ დახმარებას უწევს წავკისის სკოლას და მით გვაძლევს საშუალებას სასურველად წავიყვანოთ სწავლა-განათლების საქმე. ხსენებულ შეფის შემწეობით სკოლამ თავისდროზე მიიღო დიდი დახმარება, რომელიც დაუვიწყარი იქნება მოზარდთაობაში და ადგილობრივ გლეხობაში. გლეხები უფასოთ ღებულობენ გაზეთ „კომუნისტს“ და „მუშას“. სურვებთ ჩვენს შეფს გამარჯვებას. გაუმარჯოს შეფობას!

სოფელ წავკისის მასწავლებლები და მოწაფეები.

დაეხმარეთ სტუდენტებს

ალბათ ყველას მოეხსენება, რომ წარსულში სტუდენტობა, განსაკუთრებით იმ მიზეზის გამო, რომ მას არ ჰქონდა გამაერთიანებელი მოქნილი და მომქმედი ორგანიზაცია, იმყოფებოდა და დღესაც იმყოფება ძლიერ ცუდ პირობებში, როგორც მატერიალურად, ისე ცოდნის შეძენის საშუალებათა უქონლობის მხრივ. უმთავრესად, რასაკვირველია, აქ ლაპარაკია ულარიბეს სტუდენტობაზე, რომელიც გამოსულია მუშებისა და ულარიბეს გლეხობის წრეებიდან

უბინაობა დ სასადილოს უქონლობა, სადაც სტუდენტებს შეძლება ექნებოდათ ხელმისაწვდომ ფასებში მიეღოთ სადილი, წიგნების და სახელმძღვანელოების უქონლობა—აი რა დაბრკოლებები ეღობება წინ სტუდენტობას.

— წარსულში დიდი შრომა იყო გაწეული თვით სტუდენტების მიერ მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, მაგრამ მდგომარეობა მაინც ისეთივე რჩებოდა, საქმეს ოდნავათაც არ ეტყობოდა გაუმჯობესება ეს უმთავრესათ უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ ამგვარი მუშაობა სწარმოებდა უგეგმოთ, მას არ ჰქონდა მასიური ხასიათი.

ხსენებულმა გარემოებამ წარმოშვა აზრი სტუდენტთა გამაერთიანებელ ორგანოს შექმნის შესახებ, რომელიც გამონახავს საშუალებებს, გაზრდის ფონდს და რეალურ დახმარებას გაუწევს მრავალმხრივ აუტანელ პირობებში მყოფ ულარიბეს სტუდენტობას.

ასეთ მუდმივ ორგანოს შესაქმნელად და აღნიშნულ მიზნების მისაღწევად უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები. პროფკავშირთა საბჭოსთან დაარსებულია ღარიბ სტუდენტთა ტფილისის დროებითი ბიურო. ბიურომ თავისი დაკვრითი ამოცანათ დღიდან დაარსებისა დაისახა სტუდენტთა [illegible] საჭირო უმაღლეს სასწავლებლების და მათთან არსებულ მუშათა ფაკულტეტების მსმენელთა აღწერა, მათი სოციალურ, ქონებრივ და აკადემიურ მდგომარეობის გამოსარკვევათ. ხსენებული აღწერა უკვე დამთავრდა და ბიურო შეუდგა მასალის დამუშავებას.

მიღებულია ბიუროს მიერ მთელი რიგი პრაქტიკულ ღონისძიებათა ეკონომიურ დარგშიც.
ბიურომ გამოჰყო ეკონომიური კომისია უმაღლეს სასწავლებლებთან არსებულ ეკონომიურ წარმოებათა მდგომარეობასთან გასაცნობათ და ღონისძიებათა შესამუშავებლათ მათი რეორგანიზაციისათვის. კომისიის ნამუშევარი და პროექტი განიხილა ბიურომ და მიიღო დადგენილებანი და
ზომები სასადილოს და კოოპერატ
ვის გაუმჯობესებისათვის, რათა ის
ნი დაუახლოვდეს სტუდენტობას
გაუადვილოს მას პირველ საჭირო
ბის საგნების შეძენა.

ბიურომ მიმართა მრავალი თხ
ნებით და შუამდგომლობებით სხ
დასხვა ორგანიზაციებს და დაწეს
ლებებს. დიდი სიამოვნებით უ
აღინიშნოს ის გარემოება, რომ
ლა დიდი თანაგრძნობით ხვ
სტუდენტთა ახალ საქმეს და აღუ-
ქვამენ მას ყოველ მხრივ დახმარებას.
ამის საუკეთესო მაჩვენებელია თუ
დაც ის, რომ ჩატარებული იქ
სტუდენტთა კვირეული, ხსენებ
მიზნებისათვის საჭირო ფონდის
საქმნელათ. მთელი ეს მუშაობა
რმოებს კომპარტიის ტფილისის
მიტეტის და პატივცემულ ამხანა
ბის ს. ორჯონიკიძის, მარიამ ო
ხელაშვილის და სხვ. უახლოესი
ნაწილეობით და ხელმძღვანელო

მიუხედავათ იმისა, რომ ეს
ნაგები დატვირთული არიან მრავ
რთული საქმეებით, თავიანთი
ლო მონაწილეობით სურთ სასუ
ნიადაგზე დააყენონ სტუდენტთა
ხმარების საქმე, რაც დაუვი
იქნება ღარიბ სტუდენტობისათ

შექმნილია სათანადო ქვე
სიები. ამ დღეებში შესდგა თათ
ქალაქის და რკინის გზის ჯან
ლობის განყოფილებების, არმი
სანიტარო სამმართველოს, წი
ჯვრის და სახელმწიფო დაზ
წარმომადგენლები, რომელმაც
თა შორის გამოიმუშავა წეს
დენტობისადმი სამკურნალო
რებისა. ეს დახმარება ასეთი
ქალაქის საავადმყოფოებში სტ
ტობას დაეთმობა რამოდენიმე
წოლი უფასოთ, მიეცემა
უფასოთ, გაეწევა ამბულატო
დახმარება იმ სარაიონო ამბულ
რიებში, სადაც სცხოვრობს
თუ ის სტუდენტი. ასეთი დ
ბა იქნება, იმედი გვაქვს,
მხრივაც. ამრიგად დახმარებას
ლა გვპირდება, მას ყოველმხ
მოველით.

ახლა ჯერი თვით სტუდენტობ
ის უნდა ამოქმედდეს, მან მხ
მონაწილეობა უნდა მიიღოს
ამ დაწყებულებაში.

ასეთი ყოველმხრივი დახ
ცდები არ ყოფილა არც ერთ
ბილების დროს. სტუდენტობ
უგრძნია ეს ისე, როგორც ს
ხელისუფლების დროს და ეს
ლიად ბუნებრივია: სწავლა
ლების და კულტურის საქმე
ხარისხოვან საქმეთ აქვს
საბჭოთა ხელისუფლებას და
ნებული შეიძლება ვიქნეთ
რომ როგორც სხვა დარგებ

ანათლებს საქმეში საერთოდ მიღწეული იქნება დიდი შედეგები და კერძოთ სტუდენტობის მდგომარეობა შესამჩნევათ გაუმჯობესდება.

ღარიბი სტუდენტობა და მისი ხელმძღვანელი ორგანოები მხურვალე იმედს გამოსთქვამს, რომ ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი, კერძო ორგანიზაციები და დაწესებულებები და მთელი მოსახლეობა დაეხმარება ღარიბ სტუდენტობას სწავლის შენახვაში, რომ მან სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სერიოზულ ცოდნით აღჭურვილმა, მთელი თავისი ენერგია და ცოდნა მოახმაროს მშრომელთა კეთილდღეობის საქმეს.

ჩვენ ასეთ დახმარებას ველით და დაიმედებულიც ვართ, რომ ეს საქმე სასურველად მოგვარდება.

სტუდ. ა. ქაჯაია.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის ბირჟის ბიულეტენი.

(21 ნოემბერი).

ჩერვონცები — — —	160,000
ფარ. სტერლინგ. ქაღალ.	150,000
ჩეკები —	142,000
დოლარები ქაღალ. —	35,500
ჩეკები	33.500
ოსმ. ქაღ. ლირა	18.000
იტალიური ლირა	1050
ფრანგული ფრანკი	1575
საბჭ. ფულის ნიშნები	14 ნახ.

სურსათის ფასები.

პური 1 ხარ.—600 ათ., პური 2 ხარ.—500, ძროხის ხორცი—1750 მ. ცხვრის ხორცი—1,850 ათ., შაქარი რაფინადი 6,700, ფხვნილი შაქარი 4150 ათ., მაკარონი 2150, ბრინჯი ადგ. 1,850, კარტოფილი—250.

ტფილისის ბაზრის ფასები.

პური 1 ხარ.—800—900 ათ., პური 2 ხარ—700 ათ., ძროხის ხორცი 1800—1900 ათ., ცხვრის ხორცი—2 მილ., შაქარი რაფინადი—6.800 ათ., ფხვნილი შაქარი — 4,300,—მაკარონი—2,200. ბრინჯი ადგ.—1350, კარტოფილი—300.

ბირჟის მოთხოვნა.

ლეგოლების თამბაქო 1 ხარ. „კოკსინდიკატის" პროდუქცია. ტყავის ლეიდები. ბერტოლეტის მარილი. ფხვნილი შაქარი, რუს. და თავის შეზიმანი. კანიფოლი. ზაი. კაუსტიური სოდა, ასანთი რუს. საპონი. ოლიფის ზეთი. ცემენტი და ეტერნიტი. მზესუმზირას ზეთი. ელექტრო-ტეხნიკური მასალა. ქვა-მარილი ნახიჩევანის. ყუბანის ფქვილი (საკანდიტერო) საზზა. მაკარონი და ვერმიშელი უკრაინის.

ბირჟის მოთავაზინება.

შაქარი რაფინ. და ფხვნილი რუს. ბერტოლეტის მარილი. რუს. მანუფაქტურა. სალომასი. მზესუმზირას ზეთი. პორტლანდის ცემენტი ტეხნიკური ცხიმი, ლურსმანი. ზაი. ასანთი ტყავის ლეიდები.

ოფიციალური გარიგებანი.

პორტლანდის ცემენტი—6 მ. 90 კ. ჩერვ. ბოჭკაში ფრანკო—ნოვოროსისკი.

ბერტოლეტის მარილი (ფხვნილი) 38 მან. ჩერვ. ფუთში ფრანკო—მოსკოვი.

შაქარი რაფინადი 2 ხარ. 13 მ. 30 კ. და 13 მ. 50 კ. ჩერვ. ფუთში ფრანკო—გამყიდველის საწყობი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

ცხიმის და რძის ნაწარმოების ბაზრებზე—ფასები მომატებულია; დანარჩენ ბაზრებს უმოძრაობა ეტყობათ.

ბირჟის გარეშე გარიგებანი

19 ნოემბერს ბირჟის გარეშე დადებულია 13 გარიგება, სულ 22939 ჩერ. მან. თანხისა.

ვალუტის ბაზრის განწყობილება

ჩერვონცების და უცხო ვალუტის კურსი მეტად ზევით იწევს. საბჭ. ფულის ნიშნების კურსი უცვლელია.

მედიკამენტებით ვაჭრობის გაერთიანება ამიერ-კავკასიაში („ზაქმედტორგ"-ი).

(17 და 19 ნოემბრის სხდომები).

საუწყებათაშორისო თათბირის მეორე სხდომაზე,—17 ნოემბერს, მუხლობრივ განხილულ იქმნა ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მიერ წარმოდგენილი „ზაქმედტორგ"-ის წესდება.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ საზოგადოების წესდების პროექტში შეტანილია სხვადასხვა შესწორებანი, რომლებიც შეეხებიან ახალი ორგანოს უფლებრივ მდგომარეობას, მის კომპეტენციას, საერთო მოქმედებას, აქციების განაწილებას, სატრანზიტო გადაზიდვის უფლებას და სხ. ზოგიერთ საორგანიზაციო ხასიათის საკითხებმა, როგორიცაა გამგეობის შემადგენლობა. ხელშეკრულების ვადა, საპაიო თანხის შეტანის ვადა,—გამოიწვია ხანგრძლივი კამათი, რის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილებანი: გამგეობის შემადგენლობა განისაზღვროს 5 წევრით, მათ შორის 3 წევრი საკავშირო ჯანმრთელობის კომისარიატებიდან, 1 საგარეო ვაჭრობის კომისარიატიდან და ერთი რუსეთის „გოსმედტორგ"-იდან; სარევიზიო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით და გამგეობის წევრთა კანდიდატები—2 წევრით; „წითელი ჯვრის" და „წითელი მთვარის" (აზერბეიჯანის) წარმომადგენლები შედიან სარევიზიო კომისიის და გამგეობის წევრთა კანდიდატების შემადგენლობაში.

ხელშეკრულების ვადა განუსაზღვრელია. ერთი თვის განმავლობაში წესდების დადასტურების შემდეგ შეტანილი უნდა იყოს 50 პროც. აქციების საერთო რაოდენობიდან, აქედან 25 პროც. შესატანია ნაღდი ფულით, 25 პროც. ფულით ან სამკურნალო საქონლით, დამფუძნებელთა შორის შეთანხმებით. დანარჩენი აქციების რიცხვი შეტანილ უნდა იქნეს 6 თვის განმავლობაში.

19 ნოემბრის სხდომაზე მოყვანილი დადგენილება აქციების განაწილების შესახებ კრებამ სხვა რედაქციით მიიღო: საზოგადოების ძირითადი თანხა განისაზღვრება 600.000 ჩერვ. მანეთით, რომელიც გაყოფილია 1200 აქციათ, თითო 500 მან. ღირებულების და განაწილდება ამ რიგათ: ა. კ. ჯანმრთელობის კომისარიატები იღებენ 60-70 პროც. და ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი და „გოსმედტორგ"-ი ერთად 30-40 პროც. სანახევროთ.

საქართველოს ღვინის და სპირტის ტრესტი.

ოქტომბრის განმავლობაში ტრესტის წარმოებებში საწარმოო მუშაობა არ იყო. ტფილისის ქარხნებში მხოლოდ ღვინის და სპირტის გადასხმა და პროდუქციის რეალიზაცია რჩებოდა. გორის და აბასთუმანის ქარხნებში დაწყებული რემონტი უკვე თავდება, რის შემდეგ არყის გამოხდას დაიწყებენ.

ტრესტის ყველა წარმოებებში ოქტომბერში მუშაობდა 55 მუშა და 40 მოსამსახურე.

საანგარიშო თვეში გადასხმულია: კონიაკი 10 გრადუსი, არაყი 2270 გრადუსი და სპირტი 4838 გრადუსი. წინა თვესთან შედარებით ამ თვეში, ნაკლებ მოთხოვნილების გამო, სპირტის და არაყის გადასხმა მცირე იყო. ტრესტს დამზადებული აქვს დიდძალი ნაწარმოები, ამიტომ მყიდველებს შეუძლიათ მიიღონ საჭირო ფაბრიკატები საწყობებიდან დაუყოვნებლივ.

თვის განმავლობაში გაყიდულია: კონიაკი 24 ვედრო, არაყი—138 ვ., სპირტი—890 ვ., ლუდი 111 ვ. და არყის ზეთი 67 ვ., სულ 8916 მან. 87 კ. ღირებულებისა.

საწარმოო ნედლეულის დამზადება გამოიხატება შემდეგში: სომხეთის ერთ კერძო პირთან (კონიაკის ქარხნის მეპატრონესთან) დადებულია ხელშეკრულება 400,000 გრადუსის კონიაკის სპირტის გამოხდაზე, 18 კაპ.—გრად. აბასთუმანის რაიონში (ზუგდიდის მაზრა) შესყიდულია და გორში ჩამოტანილი სიმინდი—19045 ფუთი, 40 კაპ. ფ. და ქერი—600 ფ. 65 კაპ. ფ. აგრეთვე სწარმოებს მოლაპარაკება სახალხო ბანკთან, ცეკავშირთან და წარმოკავშირთან 5 მილ. გრადუსის ჭაჭის არაყის დამზადების შესახებ კახეთში.

ფინანსიური მხრით ტრესტი მხოლოდ თავისი ნაწარმოების რეალიზაციით სარგებლობს, ტრესტის ფაბრიკატების გასაღება ხდება პერიოდულად, სააქციზო განაკვეთების აწევის ხშირი გამო. საერთოდ ტრესტის ფინანსიური მდგომარეობა მძიმეა. ტრესტმა აღძრა შუამდგომლობა ნისიათ გაყიდვის შესახებ.

საქართველოს აგრონომთა ყრილობა

მეხუთე სხდომა.

სასოფლო მეურნეობის აღდგენისათვის.

(ამხ. ხოფერიას მოხსენება).

მომავალ საგრონომო მუშაობას, მომხსენებლის აზრით, საფუძვლად უნდა დაედვას სასოფლო მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა საერთოდ და კერძოთ გლეხის წვრილი მეურნეობა. საჭიროა გლეხის მეურნეობის გაჯანსაღება იმ მხრივ, რომ გლეხს ჰქონდეს შესაძლებლობა მის მიერ გაღებულ პროდუქტების სამაგიერო მიიღოს ფაბრიკატების სახით.

აგრონომიამ დეტალურად უნდა შეისწავლოს გლეხის მეურნეობა ყოველ რაიონში პროფ. ტიმოფეევის რაიონული დაყოფის მიხედვით. ამ გზით შესაძლებელი გახდება ჩვენი მეურნეობის ნაკლის და ჩამორჩენილობის გამორკვევა, მისი გაჯანსაღება და რეორგანიზაცია—საზოგადოებრივმა აგრონომიამ ყოველგვარ ღონისძიებით ხელი უნდა შეუწყოს მესაქონლეობის წვრიმალი დარგების აღორძინებას (მეღორეობის და მექათმეობას). მეაბრეშუმეობა და მეფუთკრეობა, რომელიც დიდ ხარჯებს არ მოითხოვენ, აუცილებლად აგრონომიის განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა გახდეს, რადგან მათი აღორძინება ეკონომიური თვალსაზრისით დიდათ ხელსაყრელია.

საქართველოს სამეურნეო რაიონებად დაყოფა.

(პროფ. ს. ტიმოფეევის მოხსენება).

მომხსენებელი დაწვრილებით აცნობს ყრილობას საქართველოს რაიონებად დაყოფის გეგმას, რომელმაც მოსკოვის სასოფლო მეურნეობის გამოფენაზე პრემია მიიღო. პროექტის თანახმად საქართველო იყოფა 17 რაიონად ფიზიკო-ისტორიულ თვისების მიხედვით, 19 რაიონად—მემინდვრეობის მიხედვით, 19 რაიონად შეერთებული მიწათმოქმედების მიხედვით და 20 რაიონად მიწათმოქმედების მესაქონლეობასთან შეერთების მიხედვით.

მომხსენებელი თავის დებულებას დაწვრილებით აცნობს ყრილობას და ასაბუთებს მათ საქართველოს მეურნეობის ისტორიული მიმოხილვით და დღევანდელ ვითარებით.

დასასრულ მომხსენებელს წვრილი მეურნეობის ბატონობის და სახელმწიფოს უსახსრობის პირობებში, საჭიროთ მიაჩნია, რომ აგრონომიულმა ორგანიზაციებმა ყოველივე ღონისძიებით ხელი შეუწყონ მოსახლეობის თვითმოქმედებას მეურნეობის გაჯანსაღებაში, რომელიც უნდა გამოიხატოს საწარმოო სას.-სამეურნეო კოოპერაციის მოწყობაში, მეურნეობის ტეხნიკის გაუმჯობესებასა, პროდუქტების დამუშავებასა და გასაღებაში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.

(მომხსენებელი კარბელაშვილი)

მომხსენებელს აგრონ. დახმარების ნაყოფიერი შედეგები გლეხების კოოპერატიულად დარაზმვის გარეშე შეუძლებლად მიაჩნია. მოსახლეობა რომ სათანადოთ გაეცნოს აგრონომიულ მუშაობას, შეიგნოს მისი მნიშვნელობა, გამოიყენოს მიღებული ცოდნა და გაატაროს ცხოვრებაში აგრონომიის მიერ ნაჩვენები ღონისძიებანი, საჭიროა გლეხობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში ჩაბმა.

თეზისები ყველა მოხსენებათა შესახებ გადაეცა პრეზიდიუმს სათანადო რეზოლიუციის დასამუშავებლად.

მეექვსე სხდომა

მავნეებთან ბრძოლა

(მომხსენებელი ამხ. ნაგორნი)

მომხსენებელი ყრილობას აცნობს მავნეებთან მებრძოლ ბიუროს ერთი წლის მუშაობას.

მიმდინარე წელს ბიუროს ძირითადი ამოცანა იყო მინდვრის თაგვების განადგურება. თაგვისაგან გაწმენდილია სიღნაღის მაზრაში 29 დესტ. მიწა, გორის მაზრაში 5,000 დესტ. და ახალქალაქის 4,920 დესტ. ბორჩალოს მაზრაში მუშაობა დღესაც არ დამთავრებულა. კახეთში სწარმოებდა კალიასთან ბრძოლა, და მათგან გასუფთავებულ იქნა 585 დესტ. მიწა.

სხვადასხვა ავადმყოფობის და მავნეების გამოსარკვევად დათვალიერებულია 15 რაიონი, რომელთა მოსახლეობას მიეცათ დახმარება მავნეებთან სხვადასხვა მებრძოლი ორგანიზაციების მოწყობის დროს.

მოხდა 70 ათასი ფუთი სიმინდის გასინჯვა მავნეთა შემადგენლობის გამოსარკვევად, რის შემდეგაც შემუშავებულ იქნა სტანდარტულ-სადეზინფექციო კამერის მოწყობის პროექტი: მოწყობილ იქნეს კამერა-ვაგონი, რომელსაც დაევალება დახმარება გაუწიოს რ|გზის მაგისტრალზე მდებარე სიმინდის მიღლებს. გაზაფხულისათვის კეთდება კიდევ კამერები ურმებზე, რომელნიც იქნებიან სოფლად დახმარების აღმოსაჩენად.

საცდელი მეურნეობა და აგრონომია.

მომხსენებელი აღნიშნავს საცდელი საქმის და საზოგადოებრივი აგრონომიის შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას, რომლის გარეშე ძნელია ნაყოფიერი მუშაობის წარმოება.

ამავე თემაზე მოხსენება გააკეთა პროფესორმა ტიმოფეევმა.

უკანასკნელ სხდომაზე მიღებული იქნა რეზოლიუციები წაკითხულ მოხსენებათა შესახებ, რის შემდეგ ყრილობა დაიხურა.

პროფკავშირებში

საბჭოთა მუშაკების კავშირის სრ. საქართველოს მესამე ყრილობა

მესამე და მეოთხე სხდომა

ცენტ. გამგეობის მუშაობა

საორგანიზაციო დარგში კავშირის ცენტ. გამგეობამ დაასრულა წარსულ წლებში დაწყებული საორგანიზაციო მშენებლობა, განამტკიცა წარსულ მუშაობის შედეგები და გადაიყვანა კავშირის ორგანიზაციები ახალ გეგმა შეწონილ მშენებლობის გზაზე.

ამ უკანასკნელ 6 თვის განმავლობაში შეჩნეულია წევრების თანდათანობითი შეუჩერებელი ზრდა. საერთო რესპუბლიკის მასშტაბით კავშირის წევრთა რაოდენობამ 22,2 პროცენტით იმატა.

წარსულ თვეებთან შედარებით განმტკიცდა აგრეთვე ურთიერთობა ადგილკომებთან.

საწევრო გადასახადის ინდივიდუალური აკრეფა სავსებით გატარებულია—89—92 პროცენტი უკვე გადასულია ინდივიდუალურ წევრობაზე, რომელმაც მეტად გააჯანსაღა კავშირის ფინანსები და დაუახლოვა კავშირი მასას.

საფინანსო აპარატის მოგვარებასთან ერთად, ცენტრ. გამგეობამ სათანადო ყურადღება მიაქცია კულტურულ და გაფიცვის ფონდებს.

კულტ.-ფონდის შემოსავალი იანვრიდან აგვისტომდე უდრიდა 21 მილიარდ მანეთს, ხოლო გაფიცვის ფონდის ამავე პერიოდში 1 მილიარდს.

კავშირის ერთ ძლიერ ფონდათ ჩაითვლება აგრეთვე უმუშევართა ფონდი, რომლის შემოსავალი ამ უკანასკნელ 3 თვის განმავლობაში დაახლოვებით ათ მილიარდს აღწევს.

საფონდო თანხების მოხმარა დანიშნულებისამებრ ინტესიურათ სწარმოებს: უმუშევრებს სისტემატიური დახმარება ეძლევათ.

ქ. ტფილისში ურთიერთ დახმარების კასის წევრად ითვლება კავშირის წევრთა 30 პროცენტი.

წევრების ზრდასთან ერთად იზრდება კასის შემოსავალიც.

სატარიფო ეკონომიურ დარგში კავშირის ცენ. გამგეობამ აწარმოება მუშაობა, როგორც ქვეყნის ეკონომიურ კონიუნქტურასთან, ისე კავშირის ამოცანებთან სრული შეფარდებით.

უნდა ითქვას, რომ საბ. მუშაკების სამუშაო ხელფასი ომის წინადროინდელ ხელფასთან შედარებით, მაინც დაბალია.

კავ. ცენტ. გამგეობამ სერიოზულ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე შეფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მუშაობას ადგილებზე და აწვდიდა მას სახელმძღვანელო ინსტრუქციებს.

ცენ. გამგეობა იღებდა რა მხედველობაში, რომ სატარიფო მუშაობა და მოკიდებულია წარმოების ნივთიერ მდგომარეობაზე, განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა ეკონომიურ მუშაობას.

ხელფასის დაწესება ყველ დაწესებულებაში ხდებოდა დაწესებულების ბიუჯეტიდან შეფარდებით.

ა|წ 1-ლი აპრილიდან ხელმძღვანელობდა რა კავშირის ცენ. კომ. პლენუმის დადგენილებით, ცენტ. გამგეობამ თავისი მუშაობის ცენტრად გახადა სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებული დაწესებულებათა მუშაკების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება.

ზოგიერთი სახ. კომისარიატის წინააღმდეგობის მიუხედავად, დადებულ იქნას 6 კოლექტ. ხელშეკრულება და დაწესდა მინიმუმი, რომელიც სახელმწიფო ხელფასის მინიმუმს სჭარბობს. **საკულტურო საგანმანათლებლო დარგში** ცენტ. გამგეობამ უმთავრეს ყურადღებას აქცევდა კავშირის წევრთა კლასიურ მომზადებას.

არა ნაკლები ყურადღებით ეპყრობოდა ცენტ. გამგეობა პროფტეხნიკურ განათლებას.

გაიხსნა მთელი რიგი პროფტეხნიკური კურსების, სადაც მეცადინეობენ, როგორც სამსახურში მყოფი ისე კავშირის უმუშევარი წევრები.

ცენტ. გამგეობას, ჰქონდა რა შეგნება იმისა, რომ მუშათა პრესა ერთი მნიშვნელოვანი დარგია პროფმოძრაობის პრაქტიკის მუშათა მასაში გასავრცელებლად, იღებდა ზომებს პროფესიონალურ და მუშათა პრესის გასამაგრებლად.

უყურადღებოდ არ იყო დატოვებული აგრეთვე უმუშევართა შორის კულტ.-მუშაობა. უმუშევართა სასადილოსთან გამგეობამ მოაწყო სამკითხველო, რომლითაც უმუშევრები უფასოთ სარგებლობენ. იმართება აგრეთვე ლექციები მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან.

ცენტ. გამგეობის მოხსენების შემდეგ ყრილობამ მოისმინა სარევიზიო კომისიის ანგარიში. რომლის მიხედვით ყრილობამ გამგეობის მუშაობა სრულიად დამაკმაყოფილებლად აღიარა.

მეხუთე სხდომა.

გამგეობის წარსული მუშაობის შეფასების შემდეგ ყრილობა შეუდგა მომავალ საკავშირო მუშაობის გეგმის გამომუშავებას.

საორგანიზაციო საკითხში ყრილობა აუცილებლად სცნობს ადგილკომების განმტკიცებას და მათ მუშაობაში საკავშირო მასის აქტიურ მონაწილეობას.

ყრილობამ საჭიროთ აღიარა აგრეთვე ყველა წევრების გადასვლა ინდივიდუალურ წევრობაზე, რომელმაც წარსულში საკმაოდ გაამაგრა როგორც კავშირის მოქმედება, ისე ფინანსები.

შემდეგ ყრილობა მიზანშეწონილად სცნობს საბიუჯეტ-აღრიცხვო სისტემის შემოღებას ყველა ორგანოებისათვის, რაც აუცილებლად გააჯანსაღებს კავშირის ფინანსებს.

სატარიფო-ეკონომიურ საკითხში ყრილობამ გამოიტანა დადგენილება შეჩერებულ იქნეს ხელფასის შემდეგი ზრდა ყველა ჯგუფებისათვის და განამტკიცოს ხელფასის მიღწეული ნორმა.

ხელფასის შემდეგ გაუმჯობესება უნდა მოხდეს იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება მრეწველობის მდგომარეობა.

შემდეგ ყრილობამ მომავალი ცენტ. გამგეობას ერთ-ერთ ამოცანად დაუსახა ხელფასის იმ სხვადასხვაობის მოსპობა, რომელსაც დღეს აქვს ადგილი საქართველოს სინამდვილეში ცალკე ჯგუფების მიმართ.

მომავალ ცენტ. გამგეობამ უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაზე მყოფ დაწესებულებათა მუშაკების ხელფასს.

ყრილობამ გაითვალისწინა აგრეთვე კავშირის მომავალი ეკონომიური მუშაობა. ახალ ცენტ. გამგეობას მიეცა დირექტივები, რომლის მიხედვით კავშირმა მაქსიმალურ დონეზე უნდა აიყვანოს ეკონომიური მუშაობა და შეუთანხმოს იგი სამეურნეო ორგანოების მოქმედებას.

ცენტ. გამგეობამ უნდა ანგარიში გაუწიოს რესპუბლიკის საერთო ეკონომიურ მდგომარეობას და დიდი სიფრთხილით წაუძღვენოს სამეურნეო ორგანოებს ესა თუ ის მოთხოვნილება ცენტ. გამგეობას ევალება აგრეთვე სავსებით გაატაროს ცხოვრებაში ახალგაზრდობის წარმოებაში გაწესრიგება ს. ს. რ. კ. კანონმდებლობის თანახმად.

დიდი ყურადღების საგანი იყო აგრეთვე უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხი.

ყრილობამ ცენტ. გამგეობას დაწვრილებით განუმარტა უმუშევრების სალიკვიდაციო მუშაობის მეთოდები.

კულტ-მუშაობის საკითხის განხილვის დროს ყრილობამ აღნიშნა, რომ მშრომელთა ეკონომიურმა მოღონიერებამ საკმაოდ გააძლიერა და გააუმჯობესა კულტმუშაობაც.

მომავალში გამგეობამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს პროფესიონალური განათლების საქმეს, პროფესიონალური პრესის გაძლიერებას, საკლუბო მუშაობას, პოლიტტეხნიკურ განათლებას და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

სახალხო სახლის ქართული დრამის შესახებ

გაზეთ „კომუნისტის" № 248, „სახალხო სახლის ქართული დრამა"-ს სათაურით მოთავსებული იყო წერილი, სადაც ავტორი აღნიშნავდა ქართულ დრამის გაჭირვებას, სჩიოდა იმ უსამართლობაზე, რომელიც ჩადენილია ვითომც ტფილისის ალმასკომს ამ დრამის წინაშე და საყვედურს აცხადებდა, რომ სახალხო სახლის ქართულ დრამას არავინ დახმარების ხელს არ უწვდის, მიუხედავათ იმისა, რომ მეტი დახმარებისა და ზრუნვის ღირსი არისო.

ვინაიდან ამ წერილში ბევრი რამ არ შეეფერება სინამდვილეს და რადგან ამ ბოლო ხანებში სახალხო სახლი ქართული დრამის და საერთოდ სახალხო სახლის გარშემო რადაც მიზეზით დიდი განგაში ასტყდა ყოველდღიურ გაზეთების ფურცლებზე, ჩვენ დროულად მივაჩნია გავაცნოთ ფართო მასებს საქმის ნამდვილი ვითარება, არა პოლემიკური ხასიათის წერილით, არამედ ჩვენს ხელში დაგროვილ ყოველგვარ მასალების ობიექტიური ანალიზით.

გასული წლის სეზონში სახალხო სახლის პოლიტიკური განათლების მთავარ მმართველობის განკარგულებაში იმყოფებოდა და მის საექსპლოატაციო გეგმას ეს უწყება იმუშავებდა, მხოლოდ მიმდინარე წლის გაზაფხულიდან სახალხო სახლი ტფილისის ალმასკომის პოლიტ-განათლების განყოფილების განკარგულებაში გადმოვიდა. რა თქმა უნდა ასეთი ფორმალური ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულების განკარგულებაში გადმოსვლა, ვერ შესცვლიდა სახალხო სახლის ძირითად დანიშნულებას, იგი ისევ ტფილისის მშრომელ მასების თეატრად დარჩა და თუ რაიმე ცვლილება უნდა შეტანილიყო თეატრის ცხოვრებაში, ეს უნდა შეხებოდა მხოლოდ თეატრის ექსპლოატაციის საქმეს. ტფილისის პოლიტ-განათლების განყოფილებამ მთავარი ყურადღება მიაქცია უპირველეს ყოვლისა—იმ გარემოებას, რომ სახალხო სახლის უამრავი ქონება სრულიად უპატრონოთ იყო მიტოვებული, რადგან არ იყო თეატრში არც ერთი პირი, რომელსაც დაკისრებული ჰქონოდა პასუხისმგებლობა თეატრის სიმდიდრის გაფლანგვა-განადგურებისაგან დაცვის მხრით. სწორეთ ეს უნდა ჩაითვალოს იმ მოვლენის მთავარ მიზეზათ, რომ პოლიტ-განათლების განყოფილების თაოსნობით მოხდენილმა სახალხო სახლის ქონების აღწერამ უამრავი დანაკლისი აღმოაჩინა. თეატრის ამ პირობებში დატოვება ყოვლად დაუშვებელი იყო, რისთვისაც პოლიტ განათლების განყოფილებამ სასწრაფო წესით მოიყვანა ცნობაში თეატრის სიმდიდრე, აღწერა ის და პასუხისმგებლობის ქვეშ ჩააბარა განსაზღვრულ პირს. იმის საილუსტრაციოთ, თუ როგორი უთავდარიგობა სუფევდა სახალხო სახლში, ბევრი სანიმუშო მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ საკითხის ამ ფრიად საინტერესო მხარეს არ შევეხებით, რადგან ეს საფუძვლიანი სურვილი ძლიერ შორს წაგვიყვანდა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამჟამად სახალხო სახლის ათეული წლობით დაგროვილი ავლადიდების დაცვა მკვიდრ ნიადაგზე სდგას, მისი გაფლანგვის საშიშროება აღარ არსებობს.

ეს პირველი აუცილებელი ნაბიჯი იყო თეატრის შინაურ ცხოვრების მოწესრიგების სფეროში. სახალხო სახლი არც ტეხნიკური მხრით იყო მაინცდამაინც სასურველ პირობებში ჩაყენებული ალბათ იმის გამო, რომ დიდი ხნობით არ მოუხდენია შეკეთება. თეატრის სახურავი უვარგისი შეიქნა, ცეცხლის საქრობი მანქანები გაფუჭდენ, შიგნიდან და გარედან კედელი ჩამოინგრა, წყალსადენი მილები გაფუჭდენ, დეკორაცია, ბუტაფორია, ტანსაცმელი და სხვა ავეჯეულობა ხმარებისაგან გაიცვითა, ელსადენი მავთულები დალპენ და სხვა ათასგვარი, თეატრისათვის აუცილებელი ატრიბუტები აღარ ვარგოდენ, თეატრის ამ ნაკლისათვის ყურადღების მიუქცევლობა მოუხერხებელი იყო და სწორეთ ამ მიზნით პოლიტ-განათლების განყოფილებამ ტფილისის ალმასკომის პრეზიდიუმს თავის დროზე მიუთითა თეატრის ამ ნაკლზე და იიხოვა, რომ ალმასკომს გაეღო საჭირო თანხა სახალხო სახლის ყოველ მხრივ შეკეთების მოსახდენათ; როგორც მოსალოდნელი იყო, ალმასკომის პრეზიდიუმი მხურვალედ გამოეხმაურა პოლ-გან. განყოფილების წინადადებას და საკმაო თანხის გაღებით შესაძლებელი გახადა თეატრის გამშვენიერების განხორციელება. შეიღება სახურავი, ასფალტით დაიხურა დანგრეული აივნები; შეკეთდა ელექტრონის მავთულები; გადაიდო თანხა ცეცხლის საქრობ მანქანების შესაკეთებლათ; გაირეცხა და დასუფთავდა თითქმის მთელი ტანისამოსი; შეიღებენ კედლები და სხვა ათას-გვარი წვრილმანი მუშაობა კი შესრულდა სამეურნეო წესით. უკვე შესრულებულ სამუშაოს მეტნაკლებობაზედ საუბარი და დავა შესაძლებელია, მაგრამ ჩვენის აზრით არც ერთი ადამიანი არ იკისრებს წინ დასდოს ალმასკომის მიერ გატარებულ თეატრის შეკეთების გეგმას, თუ გინდ მხოლოდ იმიტომ, რომ სახურავ გადაგლეჯილ, კედლებ ჩამონგრეულ, დანჯღრეულ სავარძლიან და უსუფთაო თეატრში თუ გინდ ზედმიწევნით ხელოვნურათ დადგმული წარმოდგენაც ვერ მისცემს მაყურებლებს ესთეტიურ ტკბობას. ყველა იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც მოხერხდა ალმასკომის მიერ გაღებული თანხით, აუცილებელი იყო. ამას მოითხოვდა თეატრის არსებობა. უამისოთ შეუძლებელი იყო ახალი სეზონის დაწყება.

ტფ. ალმასკომის თავმჯდომარე ლ. ხუბაშვილი.

(დასასრული ხვალ).

საბჭოთა სასამართლოში

განაჩენი ბახჩიევის საქმის შესახებ

21 ნოემბერს შრომის სასამართლომ გამოაქვეყნა გადაწყვეტილება ბახჩიევის საქმის შესახებ.

საჩივარი ცნობილ იქნა დამტკიცებულად და სასამართლომ დაადგინა გადაახდევინოს ბახჩიევს და კობალაშვილს საბჭოთა მოსამსახურეების სასარგებლოდ 2.608 მან. და 50 კაპ. (საქონლის) გადახდის დღის კურსით.

სასამართლოს დადგენილება წინასწარ მოყვანილ იქნა სისრულეში.

ქრონიკა

— **ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოება.** დღეს, 22 ნოემბერს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში შესდგება საზოგადოების მორიგი სხდომა. დღის წესრიგი: პროფ. სპ. ვირსალაძე—კურორტების მოწყობის საკითხი საქართველოში; ექ. ნ. მახვილაძე—პელაგრა და ანკილოსტომა გურიაში; ექ. ნანეიშვილი—მენინგიური მოვლენები ინფექციურ ავადმყოფობის დროს. დასაწყისი 7 ნახ. საათზე.

— **ცეცხლი ბათომის ნავთსადგურში.** 17 ნოემბერს საღამოს 5 საათზე ბათომის ნავთსადგურში ცეცხლი გაჩნდა საბერძნეთის გემს „ინნა პოლერ"-ს. მიუხედავათ ქალაქის ცეცხლის მქრობელი რაზმის მიერ მიღებული ენერგიული ზომებისა, ცეცხლის ჩაქრობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მეორე დღეს დილის 11 ნახ. საათზე. გემი დატვირთული იყო დიდძალი საქონლით ამერიკული კომიტეტის სახელზე.

— **მიწები რკინისგზელებს.** ა.|კ. რკინის გზის სამმართველომ დაამტკიცა ხელშეკრულების პროექტი და პირობა, რომლის ძალითაც რკინისგზის მუშა-მოსამსახურეებს უნდა მიეცეთ მიწები საცხოვრებელი სახლების ასაგებათ.

— **საიღლეტხილო უბნის ელექტროფიკაცია.** რკინისგზის სამმართველომ დაადგინა საიღლეტხილო უბნის ელექტროფიკაციის მიზნით, გადასდოს 18,000 მან. ჩერვონცით, აგრეთვე მოახდინოს დათვალიერება აღნიშნულ უბანში იმ წყლების, რომელნიც ეკვრის რკინისგზას.

— **შემოსავალი აბანოებიდან.** ქალაქის 9 აბანოიდან 1923 წ. 9 თვის განმავლობაში შემოვიდა სულ 58,717 მ. და 54 კ. ოქროთი. დაიხარჯა—47,646 მ. და 17 კ. ოქროთი.

— **გადასახადისაგან განთავისუფლება.** პროფ-განათლების მთავარ მმართველობამ შუამდგომლობა აღძრა ქ. ალმასკომის წინაშე, რათა ამხ. კამოს სახელობის საქარხნო-საფაბრიკო სკოლა განთავისუფლებული იქნას კომუნალურ გადასახადისაგან.

— **პედაგოგიური ინსტიტუტის გახსნა.** პროფ-განათლების მთავარ მმართველობის დადგენილებით ტფ. პედაგოგიური ტეხნიკუმი გადაკეთდა ცენტრალურ პედაგოგიურ ინსტიტუტათ.

— **ყრუ-მუნჯთა სკოლის პროგრამის დამტკიცება.** სოც. აღზრდის მთავარ მმართველობის კოლეგიამ დაამტკიცა ყრუ-მუნჯთა სკოლის დებულება და პროგრამები.

— **დაზღვეული რკინისგზელების რაოდენობა.** რკინისგზის დამზღვევი კასის ცნობით სექტემბერში ა.|კ. რკინისგზის მთელ ხაზზე ირიცხებოდა 30,360 დაზღვეული.

— **ქართული ენის კურსები.** დამზღვევ კასამ ქართულ ენის კურსების საჭიროებისათვის ადგილკომს გადასცა 60 საქონლის მანეთი.

— **საქონლის ჭირი.** საბეითლო უწყების ცნობით ოქტომბრის განმავლობაში საქონლის ჭირი მძვინვარებდა ტფილისის და გორის მაზრებში. ამჟამად საქონლის ჭირი სრულებით მოსპობილია საქართველოს ტერიტორიაზე.

— **საფეიქრო საჩვენებელი სკოლები.** მიწად-მოქ. კომისარიატთან არსებულ შინა-მრეწველობის განყოფილებამ, მცხეთაში, ქარელში და ოზურგეთში გახსნა საფეიქრო-საჩვენებელი სკოლები.

— **ცხენთა მარულა.** ოქტომბერში ჯოშიან ცხენების გამოცდა მოხდა 4-ჯერ. გამართულ მარულაში მონაწილეობა მიიღო 80 ცხენმა. გათამაშებულ იქნა 6.426.000.000 მან. ჯილდოები.

— **ბრძოლა სასოფლო-მეურნეობის მავნებლებთან.** სასოფლო მეურნეობის მავნეებთან მებრძოლმა ბიურომ ოქტომბრის განმავლობაში გორის მაზრის 10 რაიონში ჩაატარა მინდვრის თაგვების მოსასპობათ ფართო კამპანია. მცხოვრებთ მიეცათ წამლეულობა და ახსნა-განმარტება თუ როგორ უნდა ებრძოლონ სოფლის მეურნეობის მავნებლებს.

— **მიწა უმიწა-წყლო გლეხებს.** მიწად მოწყობის განყოფილებამ ოქტომბერში მიწად-მოწყობის საქმე დაამთავრა ტფილისის, დუშეთის, თიანეთის, გორის, ახალქალაქის, ზორაპნის, სენაკის, ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრებში. ჩამორთმეული მიწები მიეცათ უღარიბეს გლეხებს.

— **დახმარება ძუძუ-მწოვარა ბავშვებს.** დამზღვევმა კასამ დაადგინა: დახმარება ძუძუ-მწოვარა ბავშვებს მიეცეს იმ შემთხვევაში, თუ ცოლებს რძე არ ექნებათ და საამისო მოწმობებსაც წარმოადგენენ.

— **უმუშევართა დამხმარე ფონდის გაძლიერებისათვის.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა აღძრა შუამდგომლობა შრომის კომისარიატის წინაშე, რათა უმუშევართა დამხმარე ფონდის გასაძლიერებლათ გადაცემულ იქნეს შრომის კანონების გამო დადებული ჯარიმებისაგან შემოსული თანხა.

— **არტელების გაუქმება.** ზარალის გამო გაუქმებულ იქმნა [illegible] 1-ლი არტელი.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 20 ნოემბერს შრომის ბირჟაში უმუშევართა მთლიანი აღრიცხვის გამო, უმუშევარნი არ გამოცხადებულან ახლად ჩაეწერა—9 კაცი, სამუშაოზე გაიგზავნა—31 უმუშევარი.

შემთხვევები.

— **ბინის გაქურდვა.** 19 ნოემბერს, პატოჩნის შესახვევი № 5, გაქურდულ იქნა მოქ. დარო ბეჟანიშვილის ბინა. მიღებული ზომებით შეპყრობილ იქნენ გაბრიელ ბაბაიანცი და მიხეილ აჯამიანცი, რომლებსაც თან აღმოაჩნდათ ნაქურდალი.

— **ქურდობა.** 18 ნოემბერს, ღამით გაქურდეს მოქ. კაითაჯიანის და მნაცაკანიანის ბინა (მცხ. მოგნინის ჩიხი № 4) წაღებული ნივთების რაოდენობა ჯერ არ არის გამორკვეული, რადგან პატრონები ამ ჟამად ტფილისში არ იმყოფებიან.

— **ბოროტმოქმედთა შეპყრობა.** 18 ნოემბერს რკინის გზის გადაღმა ქვეით შეპყრობილნი იქნა 4 მოქალაქე, რომელნიც აღმოჩნდენ გამასწორებელ სახლის № 1 პატიმარნი, ავჭალის იძულებითი სამუშაოდან გაქცეულნი. მათ ზედვე აღმოაჩნდათ რამდენიმე მილიარდის ნაქურდალი ნივთები.

— **მკვლელობა.** სართიჭალიდან მიღებული ცნობით 15 ნოემბერს, ღამის 11 საათზე იქ მომხდარა მკვლელობა. მკვლელი ჯერ შეუპყრიათ.

— **ბანდიტების შეპყრობა.** 19 ნოემბერს, გომბორის მილიციის მიერ გომბორის მიდამოებში შეპყრობილი იქნა სამი ბანდიტი.

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური დრამა

„ცხვრის წყარო"

20 ნოემბერს წარმოდგენილ იქნა ქართველი საზოგადოებისათვის უკვე კარგათ ცნობილი პიესა—„ცხვრის წყარო".

შინაარსის მოყვანა ზედმეტათ მიგვაჩნია. მაგრამ მაინც უნდა ვსთქვათ ცოტაოდენი რამ ამ წარმოდგენის განახლებაზე მიმდინარე სეზონში.

ეს პიესა საყურადღებოა ჯერ ერთი თავისი ღირსებით: აქ გმირების ადგილას მომქმედ პირათ გამოყვანილია მთელი ხალხი: ხალხი ჰხარობს, ხალხი იჩაგრება, ხალხი იბრძვის და იძიებს შურს თავის მტარვალზე, ხალხი იცავს ამაყურად თავის სიმტკიცეს და მთლიანობას.

აქ ხალხი არის გამოყვანილი ყველა თავისი საუკეთესო ღირსებით და ყოველი მისი წევრი ლაპარაკობს და მოქმედობს არა ცალკე გმირად, არამედ ხალხის თანასწორ შვილად.

ამ მხრივ ეს პიესა იშვიათი რამ არის: იგი აღვიძებს ხალხში თავმოყვარეობას, უნარს ბრძოლისას და საერთო სიმტკიცეს, თავდადებას მართალი საქმისთვის.

თვით სიტყვა „ცხვრის წყარო"—„ფუენტე ოვეხუნა"—ეს არის ამაყი, კეთილშობილი და მძლიანი პიროვნება ხალხისა, რომლის წინაშეც ქედს იდრეკს თვით გულქვა ინკვიზიტორი—მოსამართლე და გამძვინვარებულათ სტოვებს ხალხს.

„ცხვრის წყარო" ჩვენთვის კიდევ სხვა გვარად არის საყურადღებო:

ამ პიესით ახლად შეტრიალდა ბედ-იღბალი კერძო გაცივებულ ქართული თეატრისა. ამ პიესით ჩვენ წინ წარმოსდგა ახალი რეჟისორული ძალა კ. მარჯანიშვილის სახით, ამ პიესით შევიდა ახალი სიცოცხლის ნაკადი ჩვენ სცენაზე: ხალხი, მუსიკა, ცეკვა, რიტმი, გარეგნობა.

ამიტომ „ცხვრის წყარო" შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარ განსახიერებად ჩვენი განახლებულის თეატრისა.

რა გვეთქმის მოთამაშეთა შესახებ?

კომანდორის როლში დ. ჩხეიძე ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ამ მსახიობს ახასიათებს რაღაც უცნაური გულგრილობა, მიუხედავათ იმისა, რომ ყოველთვის ეტყობა მომზადება. უფერულად ჩაატარა ის საგრძნობელი სცენა, როცა ფრონდოზო მკერდში დამიზნებულ მშვილდ-ისრით სიცოცხლის წუთებს უთვლის.

ლაურენციას როლს ასახიერებდა ნ. ჩხეიძე. მიუხედავათ თავისი უდაო ნიჭიერებისა—იგი ცოტა შეუფერებელია ამ როლისთვის. ლაურენციას სჭირდება უფრო ახალგაზრდა, კვნესით მონაპერწკლე, მოცეკვე არსება. მესამე მოქმედებაში მან ძლიერად ვერ დაანთო ჩვენში ის აჯანყების ცეცხლი, რომელმაც უნდა გაახელოს ხალხი შურის საძიებლად. ამ როლისათვის დასში მოიპოვებიან უფრო შესაფერი მსახიობნი.

მენგოს როლი—ვასაძეზე უკეთეს შემსრულებელს ვერ მოინატრებს. იგი ამ როლშიც ისევე თარეშობდა თავის ნიჭის მწვერვალზე, როგორც ყოველთვის.

ფრონდოზოში უნაკლულო იყო დავითაშვილი.

პირნათლად შეასრულა მოხუცი ესტევანის როლი—ლამბაშიძემ.

მშვენიერი ხელის შემწყობნი იყვნენ გვარაძე, ტ. აბაშიძე, ვ. ანჯაფარიძე და სხვანი.

უკეთესი იქნება ანჯაფარიძე ვნახოთ რომელიმე დამთავრებულ როლში და არა ასეთ ნამცეცობაზე

ხალხური სცენები იყო საუცხოო და მხატვრული, რაც უმთავრესად სჭირდება პიესას და რაც უმთავრესად ახასიათებს კ. მარჯანიშვილს.

ლელ.

—

სახელმწიფო ოპერა.

„კარმენ"-ი შემსრულებელთა ახალი შემადგენლობით.

20 ნოემბერს, ჩვენ მოვისმინეთ აღნიშნული ოპერა სახელმწიფო ოპერის სცენაზე და მეტათ გაკვირვებული დავრჩით: იყო ეს აკადემიური თეატრის მორიგი წარმოდგენა, თუ ის მხოლოდ გენერალური რეპეტიცია იყო კოსტიუმებში და მიზანსცენებით? სამწუხაროთ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ეს წარმოდგენა ერთი უვარგის წარმოდგენათაგანი იყო მიმდინარე სეზონის განმავლობაში. თუ სახელმწიფო ოპერის დირექციამ მომღერალი ქალი დრაგომირეცკაია (რომელიც აფიშებში გამოცხადებულია, როგორც კიევის ოპერის მსახიობი ქალი) მოიწვია გამოსაცდელად, მაშინ ჩვენ ვფიქრობთ, რომ გამოსაცდელი წარმოდგენის გამართვა მორიგი წარმოდგენის მაგივრათ ყოვლად დაუშვებელია. მაგრამ საქმე იმშია, რომ არა მარტო დებიუტანტი ქალი მოქ. დრაგომირეცკაია, არამედ ამ წარმოდგენის შემსრულებელთა უმეტესი ნაწილი სრულებით არ იყვნენ ამოცანის სიმაღლეზე.

კარმენის პარტიაში მოქ. დრაგომირეცკაიამ ვერ დასტოვა მისთვის ხელსაყრელი შთაბეჭდილება.

პარტიის სცენიური მხარე, რომელსაც კარდინალური მნიშვნელობა აქვს ოპერაში, სრულიად დაუმუშავებელია მსახიობის მიერ. არის ისეთი ხერხები, რომლებიც მიუღებელია, როგორც სცენის მოთხოვნილებების მხრივ, ისე პარტიტურის მხრივაც. მოქ. დრაგომირეცკაია, როგორც სჩანს, მიბაძავს კარმენის პარტიის საქვეყნოთ ცნობილ შემსრულებლის მარია გაის, მაგრამ მოქ. დრაგომირეცკაიას კარმენი მეტათ ვულგარული გამოდის. ის იძლევა გარყვნილ, მოუხეშავ, თავხედ და მოჩხუბარ ქალის სახეს. ასეთი მიდგომა პარტიისადმი შეუფერებელია.

მომღერალს საკმაოთ ლამაზი ხმა აქვს (განსაკუთრებით საშუალო რეგისტრებში). მაგრამ სჩანს სერიოზულ სკოლის უქონლობა (მოკლე სუნთქვა, მყვირალა მაღალი რეგისტრები, ღია (თეთრი) ნოტები, დინამიკისა და რიტმის უქონლობა). ლამაზათ ასრულებს მსახიობი რჩევის სცენას მესამე მოქმედებაში.

მოქ. მოსინი დონ-ხოზეს პარტიაში სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო; და მეორე მოქმედებაში, ლირიული, მაგრამ ისეთი მსახიობისაგან, როგორიც არის მოქ. მოსინი—ჩვენ უფრო მხატვრულ შესრულებას მოვითხოვთ.

გაგვაკვირვა ჩვენ მოქ. ქარციევაძემ.

მის მიერ ამონასროს პარტიის (აიდაში) შესრულების დროს, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მსახიობი წარმატებით მიდის წინ კანტილენისა და ფრაზიროვკის მხრივ,—მაგრამ შემდეგ გამოსვლებში სიმღერის ეს გაუმჯობესება გაჰქრა. ეს განსაკუთრებით სჩანს ესკამილიოს პარტიაში, რომელიც მოითხოვს ხმის უკეთეს ტეხნიკას და მკაფიო ფრაზიროვკას და აგრეთვე უფრო გამჭვირვალე ხმოვნებას. საერთოდ მსახიობმა ყურადღება უნდა მიაქციოს დიქციას და მიმიკას.

მოქ. მაზოვეცკაია მეტად მუსიკალური შემსრულებელია მიკაელას პარტიის.

მეტათ ნიჭიერია მოქ. დემიანენკო, მაგრამ იმ პარტიებში, სადაც სიმღერა სჭარბობს სცენიურ ხერხებს,—ის ვერ ახდენს სათანადო შთაბეჭდილებას.

ქალთა გუნდი სისწორით ვერ მღერის.

სამწუხაროთ, დადგმა ისეთივე უფერული იყო, როგორ წინეთ. საინტერესოა რას ნიშნავს კარები მთებში? კონტრაბანდისტების ფარულ ბინაში? მაგრამ ეს ხომ ღია ადგილია და როგორ შეიძლება, რომ ის თავშესაფარი იყოს კონტრაბანდისტებისათვის, რომელთაც საბაჟოს მცველები მისდევენ.

მუსიკოსი

—

— **ახალი კინო-სურათი.** 21 ნოემბერს სახელმწიფო კინო-ტრესტის დასმა გაიგზავნა ფასანაურში ალ. ყაზბეგის ნაწარმოების „მამის მკვლელის" გადასაღებათ. სურათის გადაღება გაგრძელდება 2 კვირას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

ფიზიკური კულტურა აუცილებლად უნდა განვითარდეს მუშებში

ფიზიკური კულტურა, ფიზიკური განვითარება უსაჭიროესი რამ არის მომავალ თაობისთვის.

ფიზიკური კულტურა ჩვენ ბევრ კარგ ნაყოფს გვაძლევს. ფიზიკურად განვითარებული ადამიანი უშიშარი, ყოველგვარი გაჭირვების ადვილად ამტანი და საერთოდ ჯან-ღონით სავსეა. მხოლოდ მისი განვითარებით, შეგვიძლია ჩვენ ავსწიოთ შრომის წარმოება და გავაჯანსაღოთ ჩვენი მუშათა მასა.

უდავოდ მიგვაჩნია, რომ ყველაზე უფრო სერიოზიული ყურადღება ამის განვითარებას მიექცევა ჩვენი პარტიის, პროფესიონალური კავშირების და საერთოდ მთავრობის მიერ.

ძველი, მეფის რეჟიმის დროს მას არავითარი ყურადღება არ ჰქონდა მიქცეული მუშათა მასსებში, ახლა კი საბჭოთა ხელისუფლების ხანაში, მუშების გონებრივად და ზნეობრივად განვითარებასთან ერთად მათ ფიზიკურად განვითარებასაც სათანადო ყურადღება ექცევა.

მედიცინაც წინ მიიწევს: ავადმყოფთა წამლობის გარდა იბადება კითხვები ადამიანის პიროვნების შენახვის და მათი ჰიგიენის შესახებ.

ავადმყოფს უნდა უწამლოთ, მაგრამ ამავე დროს უნდა შევინახოთ მისი ჯანმრთელობა და უჩვენოთ მას გზა და საუკეთესო პირობები მისი ჯანმრთელობის ზრდისა და განვითარებისათვის.

აი სწორედ ეს არის ფიზიკური კულტურის მთავარი ამოცანა.

მეორე ამოცანაა, მუშა ახალგაზრდობის სოციალურ-კოლექტივისტური აღზრდა და მათივე სამხედრო დარგშიც კარგად მომზადება, რადგან პროლეტარულ სახელმწიფოს მშრომელთა ბრძოლით მონაპოვარი პროლეტარული ხელისუფლების დაცვა სჭირდებათ.

ფიზიკური კულტურა ჩვენ მუშებში ყოველმხრივ უნდა განვითარდეს, რათა ამით თავიდან ავიცილოთ და შევებრძოლოთ სასტიკად საერთო გადაგვარებას.

მუშკორი მახ.

უნდა დაიკეტოს მუშათა უბნებში სამიკიტნოები

(ალმასკომის საყურადღებოდ).

ხშირად შევხვედრივარ გაზეთებში წერილებს ლოთობის საწინააღმდეგოდ და ვფიქრობდი, ალბად, ამ კეთილ ხალხს იურიევის ქუჩის უბედურება ალაპარაკებდა და ვუცდიდი შემთხვევას ხსენებულ ქუჩაზე სამიკიტნოების შემცირებისას. მაგრამ საწუხაროდ რამდენად დრო გადის ვხედავ ამ ქუჩაზე სამიკიტნოები უფრო საგრძნობლად მრავლდება. მიზეზი ამ მოვლენისა ის არ გეგონოთ, რომ ქუჩის სიმშვენიერე, ან მდებარეობა იზიდავდეს მიკიტნებს აქ ასე, არა.

ეს ქუჩა არის ცნობილი მუშური უბნის, ნაძალადევის ქუჩა. აუარებელი მუშები იყრის თავს, როგორც რკ. გზ. მთავარ სახელოსნოდან, ისე სხვა დანარჩენ დაწესებულებებიდან მუშების ჯამაგირის აღების დღეს, ეს სამიკიტნოები საზეიმოდ იმზადებიან და მოხერხებული მიკიტნური სალამით იტყუილებიან სამუშაოდან დაბრუნებულ მოქანცულ, დასვრილ მუშებს და მეგობრული სიტყვებით სცარცვავენ მათ.

ამ დღეს ამ ქუჩაზე შეხვდებით ამ გვარ სურათებს: დაინახავთ, რომ ზოგი მუშა ქუჩაზე წევს და მილიციონერი, ან სხვა ვინმე ნაცნობი ეზიდება სახლისაკენ.

სამიკიტნოს კარებზე თავი მოუყრიათ მათ ცოლებს ბავშვებით ხელში და ატირებულნი უცდიან ქმრებს. ზოგი ქალები ღამის 10 საათამდის სამიკიტნოში, ან ქუჩაში გალეშილს ქმარს პოულობს. ეს სამარცხვინო, საუბედურო მდგომარეობა კარგი ხანია არსებობს, რომლის ამოსაფხვრელად არა თუ სამიკიტნოების შემცირებაა საჭირო ამ ქუჩაზე, არამედ სრულიად მიკეტვა, რაც იხსნის აუარებელ მუშებს გაფუქსავატებისაგან და მათ ოჯახს და ცოლშვილს დაღუპვისაგან. ალმასკომი ვალდებულია მიიღოს სათანადო ზომები სამიკიტნოების დასაკეტად და მცირე შემოსავალს, ამ სამიკიტნოებიდან აღებულს, აჯობინოს მუშების კეთილდღეობა.

ინფორმატორი შ. გოჩოლეიშვილი

ყოვლად დაუშვებელი მოვლენა

(ქალაქის მილიციის საყურადღებოდ)

ვინ არ იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხელისუფლებისათვის მუშების და გლეხთა კავშირის განმტკიცებას; მაგრამ ჩვენი მოღალატეები ამ კავშირს არღვევენ განზრახ. საქმე შემდეგშია:

ავლაბრის „ბაკებში“ (ეს ის ადგილებია, სადაც ღამეს ათევენ სოფლიდან ჩამოსული გლეხების ურმები.) გლეხკაცებს ჩამოაქვთ ქალაქში ხორბალი გასასყიდათ და მისი საფასურით ტიტველ-შიშველმა გლეხმა უნდა შეიძინოს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ნავთი, მარილი, და სხვა. მაგრამ უსინდისო მებაკე განზრახ ღამით უშვებს ეზოში თავის ღორებს, თვითონ თავს ანებებს და ამ დროს ღორები ანადგურებენ საბრალო გლეხის სიმინდს და პურს. თავგასული მებაკე საბრალო გლეხის ტირილ ჩივილზე ლანძღვა-გინებით უპასუხებს; აშინებს მას ათასგვარ ხრიკებით. ფულს კი ბაკით „სარგებლობისათვის“ მებაკე იღებს კარგად, საქონლის შენახვისთვის კი პასუხს არ აგებს. თუ გლეხი ვალდებულია უპატრონოს თავის საქონელს, მაშინ ის გადასახადს რად იხდის. ის თვითონ დადგება გარედ, მინდორზედ და „ბაკის ფულს“ უსარგებლოდ აღარ დაკარგავს. საჭიროა ამ ეზოში ღორები მოისპოს, რომ გლეხი კაცი, სულ უბრალოდ არ ზარალობდეს.

საჭიროა ამ დაუშვებელ მოვლენას მიექცეს სერიოზული ყურადღება მილიციის მიერ და მიღებული იქნეს სათანადო ზომები თავგასულ მებაკეს ასალაგმავად.

ახ. გაზ. კომ. კავშ. წევრი ი. ჯ.

წრეგადასული „ადმინისტრატორი“

ჩვენს გაზეთებში ბევრი იწერება წრე-გადასული ადმინისტრატორების შესახებ, რომლებსაც სურთ საბჭოთა წესწყობილებაში შემოიტანონ ძველი პოლიცეური ხრიკები და შექმნან შიშზე და არა შეგნებაზე დამყარებული დისციპლინა.

ერთ-ერთი ასეთი წრეგადასული ადმინისტრატორია მცხეთის რაიმილიციის უფროსი ნ. ქორქია.

მოვიყვან მაგალითებს: — ქორქია რაიონელი მოითხოვს თავისი თანამშრომლებისაგან, რო არ ისადილონ და გამუდმებით, არის თუ არა საქმე, სულ მუდამ ფეხზედ იდგენ. აშავებს თუ არა თანამშრომლები რამეს, ეს მისთვის სულ ერთია,—სულ გამუდმებით უყვირის,—ხშირია დედის გინებაც კი. თუ რომელიმე თანამშრომელი რაიმეს თქმას გაბედავს, ვაი მისი ბრალი: იმ წამსვე მოსდებს რაიმე შარს,

გახდის ტანსაცმელებს და საცვლების ამარა უშვებს, აღარც კი იცის, რომ მოიტანოს თავისი ტანსაცმელი. ჯერ ჯერობით სრულიად უმიზეზოდ დათხოვნილი ყავს ორი თანამშრომელი,—სამი კი გაიქცა მას, რადგან ვეღარ აიტანეს მისი ველური მოპყრობა. ქორქია ყოველ დღე სალამოთი დაიარება თავის ბინაზე,—რომელიც სამმართველოდან 2 ვერსის მანძილზეა, მიყავს იქ ერთ-ერთი თანამშრომელი, ახდევინებს ჩექმებს და სხვა. დილის 9 საათზე კი უნდა მიართვან ცხენი, რომ უკან დაბრუნდეს.

თუ რაიმე შემთხვევებს ექნება ადგილი, მაგალითად: ცარცვას და სხვა ვაი თანამშრომლების ბრალი: უბედურებმა არ იციან რა გზას დაადგენ —წავიდენ ზომების მისაღებათ, უყვირებს, არ წავიდენ, ამისაც ეშინიათ.

სამმართველოში მობრძანების შემდეგ თანამშრომლებისათვის მათრახის ცემის მეტს არას აკეთებს,—თუ რისთვის სცემს მათრახს და ან რაზედ უყვირის თანამშრომლებს,—ეს რომ კითხოთ—გიპასუხებთ: „მე ნერვიანი გიჟი ვარო“.

თუ როგორ ეპყრობა მუშებს და გლეხებს ეს ვაჟბატონი მე არას ვიტყვი. ამის შესახებ კარგად იციან ზოგიერთმა პასუხისმგებელმა ამხანაგებმა, მაგალითად თამბაქოს ტრესტის თავმჯდომარემ ამხ. ალექსანდრე ყორანაშვილმა და მასთან მყოფმა ყველა ამხანაგებმა, რომლებსაც ქონდათ საქმე პირადად მასთან,—მცხეთის რაიონში მოგზაურობის დროს.—თანამშრომელს არა აქვთ გაზეთის წაკითხვის და არც რაიმე ცოდნის შეძენის დრო.

ნ. ქორქია არ დგას თავისი დანიშნულების სიმაღლეზე. თანამშრომლებს ის მუშაობის ყოველგვარ ხალისს უკარგავს, მოსახლეობაში კი ის სცემს საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟს, სახელს უტეხს მას.

სათანადო ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ მის „მოღვაწეობას“ და დროზე მოიცილონ წრე-გადასული „ადმინისტრატორი“, რომელსაც ვერ გაურჩევია საბჭოთა წესწყობილება ნიკოლოზ მეორის რეჟიმისაგან.

მუშკორი ახთ-ამწყობი.

პოლიგრაფიულ წარმოების მუშათა საერთო კრება

15 ნოემბერს მბეჭდავთა კლუბში შესდგა პოლიგრაფიულ წარმოების მუშათა საერთო კრება.

დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები: 1) ცენტრალურ მმართველობის და სარევიზიო კომისიის ანგარიშები. 2) დელეგატების არჩევა სრულიად საქართველოს მბეჭდავთა მე 3 ყრილობაზე და 3) ახალი კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა კავშირის მდივანი ამხ. ნიკიტინი, რომელიც კრებას აცნობებს ცენტ. მმართ. 14 თვის მუშაობის ანგარიშებს, რომელიც ზოგიერთ ამხანაგებს შორის იწვევს კამათს, რის შემდეგ კრება დაჰკმაყოფილებლად სთვლის და უსურვებს მას მომავალშიაც ასეთ ნაყოფიერს მუშაობას. ამის შემდეგ კრება მიესალმება მბეჭდავთა მე-3 ყრილობას და გადადის შემდეგ საკითხებზე.

შემდეგ კრება ირჩევს 50 დელეგატს სრულიად საქართველოს მბეჭდავთა მე-3 ყრილობაზე წარსაგზავნათ, რომელთა შორის 27 კომუნისტია, 13 უპარტიო, 8 კომკავშირის წევრი და 2 მემარცხენე ფედერალისტი.

მესამე საკითხზე მოხსენებით გამოდის ამხ. არეშოვი, რომელიც კრებას აცნობს იმ დაბრკოლებებს, რომელიც წინ ეღობებოდა ტარიფის მომატებას, მაგრამ შეთანხმებელ კამერის და საკონფლიქტო კომისიის მიერ მიღებულ იქნა ჯამაგირის მომატება 30 კაპეიკით 1-ლ კატეგორიაზე, 1-ლ ნოემბრიდან.

კრება დაიშალა სალ. 11 საათზე.

ხმამის მუშა ქ.

მუშათა წერილებიდან

რა მიზეზით გვაკლებენ სინათლეს?! საბჭოთა სახლში (ტროცკის ქუჩა № 10), სადაც ვცხოვრობთ მხოლოდ და მხოლოდ მუშა-მოსამსახურეები, ყოველ სალამოთი 8 საათიდან 9 მდე „უესი“ გვიკეტავს სინათლეს. განათების ფული კი ყველას გადახდილი გვაქვს.

საჭიროა ალმასკომმა აგვიხსნას ამ უმზგავსო მოვლენის მიზეზი.

მუშკორი ჩირაღდანი.

რკინის გზაზე „სპეცები“ საშინლად გამრავლდენ. რკინის გზაზე არ არის იმისთანა სამსახური, სადაც არ იყოს რამოდენიმე „სპეცტავკიანი“ სპეცი, რომელნიც 3—4 მილიარდ მანეთამდე იღებენ თვეში ჯამაგირებს და საქმეს კი კარგად ვერც იცნობენ და ვერც აკეთებენ. სახელმწიფო ხარჯების შემცირებისათვის საჭიროა ამ „სპეცტავკიანების“ გადასინჯვა და მათი რიცხვის შემცირება.

საჭიროა ვიცოდეთ თუ რა ზომებს ღებულობს ამ მიმართულებით გზის სახკომის რწმუნებული.

მუშკორი გახილევეი.

ბუღალტერიის შეცვლა. ჩვენს თამბაქოს ტრესტში თავი მოიყარეს დიდძალმა „ბუღალტერიის სპეცებმა“. მათი რიცხვი თითქმის სჭარბობს თვით წარმოებაში მომუშავე მუშათა რიცხვს და მათი შესანახი ხარჯები 4—6 ჯერ აღემატება მუშათა ხარჯებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის განმტკიცებისთვის საჭიროა ტრესტის ბუღალტერიის შტატის განახევრება

მუშკორი აკოფოვი.

მოგვაწოდეთ ფაბრიკა-ქარხნების ახლოს. თამბაქოს ქარხნის მუშები ვცხოვრობთ ქალაქის განაპირა უბნებში, სამუშაოს ადგილიდან 3-4 ვერსის დაშორებით. მთელი ჩვენი შრომის ძალღონეს დილით ადრე (5—6 საათზე) ფეხით სიარულში ვკარგავთ... საჯაროდ ვაცხადებთ, რომ დიდი ხანია ვითმენთ, დავიღალეთ და დროა ალმასკომმა მოგვცეს მუშებს ფაბრიკა-ქარხნებთან სათანადო ბინები.

საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა ნაბიჯებია ალმასკომის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული.

მუშკორი არტ.

— **ორშაბათობით კინოები იმუშავებენ უმუშევართა დასახმარებლად** განზრახულია თვეში ერთხელ კინო-თეატრებმა იმუშაონ ორშაბათობით, რომლის მთელი შემოსავალი გადაიდება უმუშევართა დამხმარე ფონდის გასაძლიერებლათ.

— **პროლეტკულტში.** დღეს პროლეტკულტის შენობაში წაკითხული იქნება ლექცია პოლიტ ეკონომიის შესახებ. დასაწყისი სალამოს 7 საათზე.

— **სახალხო სახლის იუბილე.** სახალხო სახლის საიუბილეო კომიტეტმა თავის მომქმედ პრეზიდიუმში აირჩია: საქ. პროფკავშირებიდან—გ. ყურულაშვილი, განათლების კომისარიატიდან—დ. კანდელაკი, სახ. სახლის თეატრის გამგეობიდან—ს. ახვლედიანი. საიუბილეო კომიტეტმა დაადგინა გამოსცეს მოწოდება სახალხო სახლის იუბილეს შესახებ. იუბილე გაიმართება 2 დეკემბერს.

— **ოპერა.** პარასკევს, 23 ნოემბერს სახელმწიფო ოპერაში წარმოდგენილი იქნება ოპერა „მეფის საცოლე“, საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

— **პლეხანოვის თეატრი.** 22 ნოემბერს პლეხანოვის სახელობის თეატრში წარმოდგენილი იქნება ადგილობრივი დასის მიერ „რევოლიუციის წუთებში“.

— **სახალხო სახლის საზეიმო წარმოდგენა.** სახალხო სახლის იუბილეს დღეს წარმოდგენილი იქნება კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით „მსხვერპლი“ 1-ლი მოქმედება და სცენები იმ პიესებიდან, რომლებიც იდგმებოდენ სახალხო სახლში 30 წლის განმავლობაში.

— **ახალი პროფესორი სახ. კონსერვატორიაში.** იტალიიდან ტფილისში ჩამოვიდა განათლების კომისარიატის მიერ სახ. კონსერვატორიის სასიმღერო კლასის პროფესორად მოწვეული პროფ. ზარერო.

— **დ. ზომბერის კონცერტი.** შაბათს, 24 ნოემბერს, სახ. კონსერვატორიაში შესდგება პირველი საჯარო კონცერტი ახალგაზრდა პიანისტის ლეონარდ ზომბერის.

— **პლეხანოვის თეატრი.** პლეხანოვის თეატრის მუშა-მოსამსახურეებისაგან შემდგარი დასი ამზადებს დასადგმელათ ლუნაჩარსკის პიესას: „მეფის დალაქი“.

დღეს თეატრებში.

— **სახელმწიფო ოპერა** „ტოსკა“.

— **რუსთაველის თეატრი.** პრემიერ „უბედურება“, „დარისპანის გასაჭირი“, „ირინეს ბედნიერება“.

— **სახალხო სახლი.** რუსული წარმოდგენა.

— **ცირკი.** ვიტალი ლაზარენკოს გასტროლი.

პროვინციაში

ქალ. ფოთი

მოქ. პავლე აკობიამ გამოაკრა აფიშები, რომ ის წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „სიმართლე ქრისტიანული და სიცრუე ეკლესიური“. „ლექცია“ შესდგა 15 ნოემბერს. ხალხი ბლომად მოაწყდა თეატრს. ყველანი იცნობდენ მოქ. აკობიას, როგორც ძველ სოციალისტს; ამისთვის მას არ დაკლებია ციხე და ციმბირი. ბოლოს სოციალ-ფედერალისტი ყოფილა. ახლა კი ყოველივე პარტიის გარეშე დგას და აულია მიზნათ ღვთის და რელიგიის დაცვა. საკვირველია: მას საკმაოდ აქვს შესწავლილი მეცნიერება და ამ დროს ასეთ მისიას კისრულობს.

მან დაიწყო იმით, რომ დასვა კითხვა, რა გავლენა იქონია ქრისტიანობამ—ეკლესიამ ადამიანზე და შემდეგ რა როლი ითამაშა ქრისტიანიზმმა საქართველოში. მან რიხიანად განაცხადა, რომ ქრისტიანიზმმა—ეკლესიამ გააფაქიზა ადამიანი და საქართველო კი მან იხსნა წმინდა გიორგის საშუალებითო. ჩვენ ყველა ღვთის შვილები ვართო, იესო ქრისტეც ღვთის შვილი იყო, მაგრამ ის ყველაზე უფრო საყვარელი შვილი იყო მამა ღმერთისაო. ღმერთმა ადამიანი თიხიდან გააჩინა. გააკეთა თიხიდან კაცი, შთაბერა თავისი სული და გაჩნდა ადამიანი.

ილაპარაკა კიდევ ბევრი სხვა სისულელე.

შემდეგ აკობია კითხულობს სახარებას მთელი საათის განმავლობაში. როდესაც ხალხმა შენიშნა, რომ არსებითად შეეხეთ საკითხსო, გაჯავრდა: საჭიროა სახარების ცოდნა ყველასათვისო. ჩვენ მოველოდით, აბა რას იტყვის მოქ. აკობია „ეკლესიურ სიცრუეს“ შესახებ, მაგრამ ეს მეორე ნახევარი თავის თემისა მან მიაფუჩეჩა; სრულებით არაფერი არ სთქვა მასზე. აღსანიშნავია ის, რომ, როდესაც მას საზოგადოებიდან მისცეს შეკითხვები და მან ვერ შესძლო მათზედ პასუხის გაცემა,—ისეუბნება შემკითხველებს—მე ეს არ ვიცი, აბა თუ ვარგიხართ, თქვენ თვითონ უპასუხეთ ამ კითხვაზეო. ასეთმა განცხადებამ ხალხი სიცილის გუნებაზედ მოიყვანა.

რა თქმა უნდა, მისი ლექციის გაბათილება არ იყო ძნელი და მართლაც ამხანაგებმა ის სრულებით გააბათილეს. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. მეგრელიშვილმა, ჯიბლაძემ, კაკულიამ, გაბუნიამ, ჯალაღონიამ და ნოდიამ.

ისინი მეცნიერულად მიუდგნენ საკითხს და ვრცლად გააშუქეს ღვთის არსებობის შეუძლებლობა.

ხალხმა ისინი ტაშით დააჯილდოვა. უკვე ღამის პირველი საათი იქნებოდა, როდესაც უკანასკნელმა ორატორმა დაამთავრა სიტყვა და ბოლო სიტყვა უნდა ეთქვა ლექტორს, მაგრამ ხალხმა იგრიალა და ყველა კარებისაკენ გაიშურა. საკითხი ჩვენთვის ნათელიაო,—იძახოდენ ისინი. ასეთ „უპატივცემლობამ“ საზოგადოების მხრით ნერვები აუშალა მოქ. აკობიას და მან განაცხადა: „ვინაიდან ლექცია უნდა წამეკითხა მე და ის ჩემს მაგიერ სხვებმა წაიკითხეს, ამიტომ დღევანდელ შემოსავალს მე მათ უნაწილებო“. ასეთმა განცხადებამ ხალხი კიდევ უფრო მხიარულ გუნებაზე დააყენა.

როგორც ჩანს, მართლაც ცუდათ ყოფილა ღმერთის საქმე, რომელიც თავის დამცველებათ აყენებს მოქ. აკობიას, მღვდელ ბობოხიძეს და სხვებს. მისი სახლის საძირკველი საკმაოდ დაშპალა და დამცველებს არა აქვს დასაყრდნობი საშუალება. იმედია, რომ ის სულ მალე დაინგრევა როგორც კარდონის სახლი.

პ. მეგრელიშვილი.

სოფ. ვახანი (შორაპნის მაზრა)

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო, სოფ. ვახანის მთლიანი შრომის სკოლის დამაარსებელ კომიტეტის სახელით, ყველა იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და თავიანთი წვლილი შემოსწირეს, ამ 1-2 თვის წინეთ, ფულის თუ ნატურის სახით, სკოლის შენობის შეკეთება-აღდგენისათვის, რითაც საფუძველი ჩაუყარეს ამ დიად საქმეს ხსენებულ საზოგადოებაში.

(შემოწირულება სულ შეგროვდა 250 მილიონამდე.)

გულწრფელ მადლობას უძღვნის აგრეთვე შორაპნ. მაზრის განათლების განყოფილების და განათლების მუშაკთა პროფ-კავშირის ხელმძღვანელებს, რომელთაც თავიდანვე მხურვალე დახმარება გაგვიწიეს სკოლის დაარსების საქმეში; ვიმედოვნებ, რომ მომავალშიაც არ მოაკლებენ მას თავიანთ მზრუნველობას.

ვთხოვთ აგრეთვე ყველა დანარჩენ შეგნებულ ამხანაგებს, რომელთაც რაიმე კავშირი აქვთ ხსენებულ საზოგადოებასთან—ნუ დაიშურებენ თავიანთ წვლილს ახლად დაარსებული სკოლის აღორძინების საქმისათვის.

სასკოლო კომიტეტის თავმჯდომარე: ივ. არევაძე.

კავთისხევის თემი (გორის მაზრა)

სოფ. კავთისხევის ბაღ-ვენახები სამწუხარო სურათს წარმოადგენენ, საქმე შემდეგშია: შემოდგომაზედ, როდესაც ბაღებში ხილი მოკრეფილია, ზოგიერთი შეუგნებელი გლეხი შეუშვებს ხოლმე როგორც თავის, აგრეთვე მეზობლის ბაღში ხარ-კამეჩს და აკლებინებს ნორჩ ნამყენ ხეხილს, რათა თავისი საქონელი გააძღოს და იმას კი არა ფიქრობს, თუ რა დიდ ზიანს აძლევს თავის მეზობელს. ამას ჩვეულებრივ მოსდევს ხოლმე მეზობელთა შორის ჩხუბი და აყალ-მაყალი.

4-6 ნოემბერს ქალ. გორში მოხდა მეხილეთა ყრილობა და ხილის გამოფენა. დელეგატების მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ გორის მაზრის სხვა თემებში დიდ ყურადღებას აქცევენ მეხილეობას და ბაღ-ვენახების გაშენება-დაცვას; ამ მხრივ კავთისხევის თემი ერთად-ერთ გამონაკლისს შეადგენს მთელ გორის მაზრაში. ყრილობაზე ჩვენს კავთისხევის დელეგატს შეკითხვა მისცეს: „მართალია თუ არა ის, რომ პირუტყვი საქონელი მოკრეფილ ბაღებში თავისუფლად დათარეშობსო“, რაზედაც ჩვენმა დელეგატმა დადებითი პასუხი გასცა.

აღსანიშნავია ის, რომ ადგილობრივი ალმასკომი სისუსტეს იჩენს ამ საქმეში, დღემდის არ გამოუცია არავითარი განკარგულება ბაღ-ვენახების დაცვის შესახებ.

იმედია, ახალი თავმჯდომარე ალმასკომის და ახალი არჩეული სათემო საბჭო გამოსცემენ სათანადო განკარგულებას ნაკლის ასაცილებლად, ე. ი. დააწესებენ ჯარიმას ბაღ-ვენახების დამაზარალებელ გლეხზე. მაგრამ ესეც იმდენად ვერ უშველის ბაღების დაცვას. საჭიროა საქართველოს მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ, რომელიც ითვლება სოფელ კავთისხევის თემის შეფად, დაუთმოს ადგილობრივ ახლად დაარსებულ კოოპერატივს ეკლიანი ცინკის მავთული, რათა დაინტერესებულმა გლეხებმა შეიძინონ იგი და შემოღობონ თავის ბაღ-ვენახები. ამით კავთისხევის შეფი დიდ მადლობას დაიმსახურებს მშრომელ გლეხების თვალში და წასწევს წინ მეხილეობას.

გიორგი კავთურელი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

განათლების მუშაკთა სახლში.

— დღეს, 22 ნოემბერს სალ. 5 საათ. მეცადინეობა ტექნიკური პერსონალის სომხურ ჯგუფთან.

— კვირას, 25 ნოემბერს სალ. 6 საათ. მუსულმან პედაგოგთა წრეში მოხსენება: 1) შახტახტინსკის—„მშობლიური ენის სწავლების მეთოდი“, 2) სუბანკულოვის—„წერითი მუშაობანი“, 3) გასან-ზადე—„ორთოგრაფია სკოლაში“.

სახლის გამგე შიუკაშვილი.

— **საქ. კომუნ. პარტ. ტფ. კომიტეტის საავიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება,** ხუთშაბათს, 22 ნოემბერს, სალამოს 6 საათზე იწვევს დასავლეთის ეროვნულ უმცირესობათა კომუნისტების კრებას: პოლონელთა, გერმანელთა, ჩეხო-სლოვაკთა, უნგრელთა, ლატიშთა და სხვ.

დღის წესრიგში არის: დასავლეთის ეროვნულ უმცირესობათა ინტერნაციონალური კლუბის დაარსება.

ყველა აღნიშნულ კომუნისტების დასწრება სავალდებულოა.

ტფ. კომიტეტის საავიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე
მ. [illegible]

— **საქ. კომუნ. პარტ. ტფ. ორგანიზაციის მე-2 საუბნო კომიტეტი** იუწყება, რომ ხუთშაბათს, 22 ნოემბერს, სალამოს 5 საათზე, საუბნო კომიტეტის ბინაზე, იხსნება საუბნო პარტ-სკოლა რუსულს ენაზე (საუბნო პარტსკოლისათვის მობილიზაციის წესით დაბარებულ ამხანაგების სია გამოცხადდა საერთო კრებაზე და დაეგზავნა უჯრედებს) ხსენებულ სიაში აღნიშნული ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ ნაზაროვი.

— **საქ. კომ. პარტიის ტფ. ორგანიზაციის მე-2 სარაიონო კომიტეტი** იუწყება, რომ ქვემო-დასახელებულმა პირებმა განცხადება შეიტანეს კომუნისტურ პარტიაში შესვლის შესახებ.

მე-2 სარაიონო კომიტეტი სთხოვს იმ ამხანაგებს და პირებს, რომლებსაც აქვთ რაიმე მამხილებელი საბუთები ქვემოდასახელებულ ამხანაგების შესახებ, წარმოადგინონ ეს მასალა სარაიონო კომიტეტში (მიხეილის პროსპექტი, № 96) ამა ნოემბრის 31 რიცხვამდე

1. სარქისოვი სერგეი—ფეხსაცმელის დამამზადებელი („ზაგოტოვშიკი“);
2. ვერემეიჩიკოვა ივანე. საექიმო-სასანიტარო მუშაკთა კავშირის მუშა.
3. ვერდენკო ადოლფი—„ტრამოტზ-ი (მუშა.)
4. მურადიანი ხაჩატური—ფეხსაცმლის ხელოსანი.

მდივნის მაგიერი ნაზაროვი.

განცხადებები

პარტიის ისტორიის კომისია ამ დღეებში გამოუშვებს გასასყიდათ დიდ ალბომს

„1917 წლამდის დაღუპულ რევოლიუციონერთა ხსოვნის“

სახელწოდებით, სადაც მოთავსებული იქნება 40—50 ღირსშესანიშნავ რევოლიუციონერების სურათები და მათი მოკლე ბიოგრაფიები.

ალბომი მოითხოვეთ ყველა მევაზეთეებთან და აგრეთვე რკინისგზის კიოსკებში, როგორც ტფილისში ისე პროვინციაში.

საქ. კომ. პარტ. ცეკას გამომცემლობა. 3—1

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია

ამით აცხადებს ტფილისის ყველა გაზეთების პროვინციალურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ შემდეგს: ვინაიდან გაზეთები დღემდის იგზავნებოდა პროვინციაში ფოსტის საშუალებით, ხშირი იყო შემთხვევა, როცა გაზეთების ხელის მომწერლები ღებულობენ დაგვიანებით და ხშირად კიდევაც იკარგებოდა, რაც ბადებდა უთანხმოებას როგორც ხელის მომწერთა და გაზეთების კანტორების შორის, აგრეთვე კანტორებსა და და ექსპედიციის შორის. ამიტომ ექსპედიციამ საჭიროდ სცნო და შეუდგა პროვინციის ხელის მომწერლებზე გაზეთების დარიგებას თავისი აგენტების საშვალებით, რისთვისაც ექსპედიცია სთხოვს პროვინციის ხელის მომწერთ, რათა მიიღონ ცნობისათვის, რომ ექსპედიციას ჰყავს თავისი აგენტები ყველა ქალაქებში, დაბებში და აგრეთვე დიდ სადგურებზე წიგნებ-ჟურნალ-გაზეთების მოვაჭრენი, რომლებსაც მსურველთ შეუძლიათ მიმართონ:

1. ქალაქ ქუთაისში	წიგნის მაღაზია	ტყაბლაძე.
2. ქალაქ ლანჩხუთი	აგენტი	ურუშაძე.
3. ახალსენაკი	„	ესებუა.
4. აბაშა	„	მიქაძე
5. ხონი	„	ბალდავაძე.
6. ფოთი	„	ძაძამიშვილი.
7. თელავი	„	ჩიტოშვილი
8. ჭიათურა	„	თოდრია
9. სადგ. ბათომი	„	ნიკოლაიშვილი
10. ქალაქი გორი	„	მაჭავარიანი
11. „ სამტრედია	„	ახობაძე ან ანდრეევა
12. „ ოზურგეთი	„	პოლიტ. განყ. გამგე ბარამიძე.
13. „ სუფსა	„	ტაბიძე
14. დაბა ჩოხატაური	„	ცინცაძე
15. ქალაქი სიღნაღი	„	თევდორაშვილი
16. სადგ. ხაშური	„	ფოველი
17. ქალაქი ბორჯომი	„	თაქთაქიშვილი
18. სადგ. ყვირილა	„	ცხოველიძე
19. „ შორაპანი	„	ზვილესიანი
20. სადგ. ხარაგოული	„	მუშათა კოოპერატივი.
21. ქალაქი ზუგდიდი	„	სამაზრო კომიტეტი

ექსპედიცია განმეორებით სთხოვს ყველა ხელის მომწერთ, ვინაიდან ზემოაღნიშნული პირები ვალდებულნი არიან მიაწოდონ ხელის მომწერთ მათ მიერ გამოწერილი გაზეთები თავიანთ ბინებზე და დაწესებულებებ-ორგანიზაციებში, მოსთხოვონ აგენტებს მიზეზი გაზეთების არმიღებლობისა, თუ ასეთს ექნება ადგილი. გთხოვთ აცნობოთ ექსპედიციას ყოველივე გაზეთის დაგვიანება უშუალოდ შემდეგი მისამართით:

ტფილისი, რუსთაველის პროსპ. № 26. ტელ. № 5—43.
ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციის გამგე ჩიჩილაშვილი.
კრ. 736 3—3

ამინდი ამიერ-კავკასიაში

20 ნოემბერი დილის 9 საათი

ტემპერატურა (ცელსით) სოხუმი—12 გრადუსი, ფოთი—13 გრად., ბათომი—11 გრ., სამტრედია—13 გრ., ჭიათურა—8 გრ., წიფა—5 გრ., ბორჯომი—8 გრ., სურამი—8 გრ., ტფილისი—4 გრ., მუკუზანი—10 გრ., ბაქო—15 გრ., და ერევანი—1 გრ.

ღრუბლიანობა: სრული ტფილისში და ბაქოში, ძლიერ საგრძნობი მუკუზანში, სრულ მცირე სოხუმში და წიფაში, სხვაგან—სულ მოწმენდილია.

ქარის ქროლა: ფოთში—აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის. ბათომში—ჩრდილოეთ აღმოსავლეთის, ნელი. სამტრედიაში—აღმოსავლეთის მიმართულებით, ზომიერი. აჯამეთში—აღმოსავლეთის, ძლიერი; წიფაში—ჩრდილოეთის მიმართულებით,—ნელი; ბაქოში—სამტრედია,—ზოგიერთ დანარჩენებში—ნელი და სრულებით წყნარი.

წვიმა: არსად არ ყოფილა.

ზღვის მდგომარეობა ნაპირებთან: ფოთში, ბათომში და ბაქოში დაწყნარებულია.

ამინდი: ხანმოკლე ღრუბლიანობა, მშრალი სიცივე. აღმოსავლეთ ნაწილში ალაგ-ალაგ არის ყინვები.

ტფილისი

21 ნოემბერი დღის 1 საათი

ტემპერატურა: 16 გრ.,

ღრუბლიანობა: მოწმენდილია.

ქარის ქროლა: ჩრდილოეთის ძლიერ ნელი.

ამინდის ცვალებადობა: 22 ნოემბრისათვის არ არის მოსალოდნელი დიდი ცვლილება.

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სავალდებულო დადგენილება

№ 44

ქ. ტფილისში მცხოვრებ მოქალაქეთა აღსარიცხავად და იმ მიზნით, რომ სამისამართო მაგიდამ განახორციელოს თავისი მიზან დანიშნულება, ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

§ 1. ტფილისში მდებარე ყველა საცხოვრებელ სახლების მეპატრონენი, გამგენი, ან მმართველ-მოიჯარადრენი ვალდებულნი არიან იქონიონ საბინაო დავთრები, რომელთა შეძენა შეიძლება ტფილისის სამისამართო მაგიდაში. მოხსენებულნი პირნი ვალდებულნი არიან სრული სისწორით აწარმოონ საბინაო დავთარი, რომელიც დანომრული და დამოწმებული უნდა იქნეს სამისამართო მაგიდის მიერ.

§ 2 სახლის მეპატრონენი, გამგენი ან მმართველ-მოიჯარადრენი ვალდებულნი არიან 24 საათის განმავლობაში მოსთხოვონ მათ სახლში მოსულ მდგმურებს, განურჩევლად უკანასკნელთა პროფესია-მდგომარეობისა, პირადობის დამამტკიცებელი საბუთი, უკანასკნელის ძალით შევსებულ უნდა იქნეს საბინაო დავთრის შესაფერი მუხლები და ასეთი პირადობის მოწმობითურთ წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაფერ სამილიციო რაიონის სამმართველოში სამისამართო მაგიდის რეგისტრატორთან. რეგისტრატორისაგან ამის შემდეგ შეძენილ უნდა იქნეს ჩასაწერას ხარჯზე სამისამართო ფირფიტა, რომლის შევსება ევალება სახლის მეპატრონეს, გამგეს ან მმართველ-მოიჯარადრეს.

შენიშვნა: ამ მუხლში მოხსენებულ მოთხოვნილებათა ასრულება სასტუმროებისა და მოწყობილ ოთახების მეპატრონე-მოიჯარადრეებს ევალება 12 საათის განმავლობაში იმ შემთხვევაში, თუ სტუმარი რჩება არა ნაკლებ 24 საათისა.

§ 3. ყოველი მოქალაქე, რომელსაც ამა თუ იმ სახლში უქირავს ცალკე ბინა, ვალდებულია 12 საათის განმავლობაში განუცხადოს იმ პირს, რომელსაც დავალებული აქვს საბინაო დავთრის წარმოება, ბინიდან დროებით ან სამუდამოთ მცხოვრებ პირის წასვლა და ბინაში ახალი პირის მომატება.

§ 4. იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე მოქალაქე უარს აცხადებს საბინაო დავთარში ჩაწერაზე, დავთრის მწარმოებელი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ეს გარემოება სათანადო სამილიციო რაიონის უფროსს.

§ 5. თუ მოქალაქე მიდის ქალაქიდან ან გადადის ერთი ბინიდან მეორეზე ვალდებულია ეს გარემოება აცნობოს წერილობით თავისი სრული ახალი მისამართის აღნიშვნით იმას, ვისაც დავალებული აქვს აწარმოოს საბინაო დავთარი.

§ 6. მცირე წლოვანთა საბინაო დავთარში შეტანა სწარმოებს მეტრიკული ამონაწერის ან მშობლების პირადობის ბარათის ძალით, თუ ჩასაწერი აღნიშნულია უკანასკნელში. საშუალო და დაბალ სასწავლებელთა მოწაფეების კი, თანახმად სასწავლებლიდან მიცემულ მოწმობისა.

§ 7. საბინაო დავთარი უნდა ინახებოდეს იმ სახლში, რომელსაც ეკუთვნის და პირველ მოთხოვნილებისამებრ უნდა წარედგინოს მუშათა და გლეხთა მილიციისა და სამისამართო მაგიდის თანამშრომელთ თუ უკანასკნელნი მოითხოვენ მის სახლიდან წაღებას, მათ უნდა ჩამოერთვას ამის შესახებ შესაფერი ხელწერილი.

§ 8. საბინაო დავთარი და სამისამართო ფირფიტა [illegible] უნდა იქნეს ზუსტათ მოხსენებული წიგნისა და ფირფიტის ყველა მუხლებზე სწორი და გასაგები პასუხის აღნიშვნით.

§ 9. ყოველ საცხოვრებელ სახლში ბინები დანომრილი უნდა იქნეს რიგობითი ნომრების დაცვით. საბინაო დავთარში მდგმურები ჩაწერილი უნდა იქნენ იმის აღნიშვნით, თუ რომელ ბინაში უკანასკნელნი ცხოვრობენ.

§ 10. ყველა სახლის ალაყაფის კარების მარჯვნივ მხარეს გაკრული უნდა იქნეს შესაფერი შავად შეღებილი დაფა, რომელზედაც ცარცით უნდა აღინიშნებოდეს საჭირო ცნობები შემდეგი ცხრილის მიხედვით: 1) სახლის მეპატრონე, გამგე ან მმართველ-მოიჯარადრის სახელი, მამის სახელი და გვარი, ბ) ბინების რიგობით №№, გ) ბინების №№ ის გასწვრივ ბინადართა სახელი, მამის სახელი და გვარი, დ) თუ რამდენი ოთახისაგან შესდგება მთელი შენობა ბინების მიხედვით და ე) სახლის მეეზოვეს სახელი, მამის სახელი და გვარი, უკანასკნელის მისამართის აღნიშვნით.

§ 11. თუ საბინაო დავთარი დაიკარგა, დავთრის მწარმოებელი ვალდებულია ეს გარემოება გამოაცხადოს ადგილობრივ პრესაში და შეიძინოს სამისამართო მაგიდისაგან ახალი დავთარი 3-დღის ვადაში.

§ 12. ამ დადგენილების დამრღვევი მოქალაქენი დაისჯებიან ტფილისის მ. | გ მილიციის უფროსის ადმინისტრატიული ხელისუფლებით,—თავისუფლების აღკვეთით ორ კვირამდე ან თავისუფლების აღუკვეთლად იძულებითი სამუშაოზე ორი კვირამდის დანიშვნით, ანდა 50 ბაჯაღლო მანეთით დაჯარიმებით.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევას ექნა სისტემატიური ხასიათი, მილიციის უფროსი აღძრავს შუამდგომლობას ალმასკომის პრეზიდიუმის წინაშე დამნაშავეზე სასჯელის გადიდების შესახებ.

§ 13. ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან უქმდება ამ საკითხის შესახებ წინად გამოცემული ყველა სავალდებულო დადგენილებანი.

§ 14. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ხუხიშვილი.
პრეზიდიუმის წევრი მეხსი.
პრეზიდიუმის მდივანი თიკანაძე

741 1 1

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ ბედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მკურნალობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (126-25-11)

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა
რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა
ყოველ დღე 9—1 ს. და 6—8 ს. სად. ბებუთოვის ქუჩა № 23.
78 25—22

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლო

იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულის რომანოზ, იგივე მინა, გიორგის ძე არჩვაძის ქონებაზე, რათა განაცხადონ თავიანთი უფლებანი ორი თვის ვადაში.

174 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა ნინო ნიკოლოზის ასულის მაჭუტაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

171—1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა სოფიო ვასილის ასულის გერშელმანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

171—1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა თამარ ნიკოლოზის ასულის ალექსი-მესხიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

173—1—1

დაკარგე პასპორტი მოცემული რაჭის მაზრის შქმერის ალმასკომის მიერ ჩაითვალოს გაუქმებულად. სანდრო წყალობის ძე გვიმრაძე.

170 1—1

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა საბჭო წულუკიძის ქ. № 4.